სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

N6 (9329) | 29 თებერვალი. 2020 წელი | ფასი 50 თეთრი

გილოცავთ დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს!

იაპონიის იმპერატორის დაბადების დღეზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიც მიიწვიეს

3

აჩუქეთ სიცოცხლე 5 მცირეწლოვანი შვილის დედას

სილარიბის დაძლევა კონკურენტუნარიანი ინდუსტრიის განვითარების გზით

“ვფიქრობდი, დიტოს პატრონი არ ჰყავს და ამერიკაში სასწავლებლად ვინ გაუშვებს-მეთქი”

6



9

“თოვდა და თბილისს ეზუარა თალხი”

ეს ჩვენ ვართ, ხალხი

5

8

4

“რა დროს პარონია, წყალს მივყავართ ახალსოფლელები”

სამტრედიაში პირბადეზე
ფასი 18 თეთრიდან
1 ლარსა და 40 თეთრამდე
მერყეობს

4

მერაბ ჯანელიძე _ მუდამ წარმატებასთან გაიგივებული

წელს კვლავ პრიორიტეტულია სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია

ნინო ნანიტაშვილი

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა. შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში, ზვიად შალამბერიძე ხელმძღვანელობდა. სხდომას სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, მოადგილე ბესიკ გოფოძე, იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები ესწრებოდნენ. მხარეებმა რეგიონში 2020 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობაზე იმსჯელეს. გარდა ამისა, შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა 2018-2020 წლების ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმაში შესატანი ცვლილებები იყო. ცვლილება ხუთმა მუნიციპალიტეტმა, ჯამში, 87 პროექტში განახორციელა.

2020 წელს იმერეთში ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად 106,071,738,6 ლარია გამოყოფილი და ჯამში 1 765 პროექტი განხორციელდება. მიმდინარე წელს, სხვა მიმართულებებთან ერთად, პრიორიტეტულია სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია. რეგიონში 191 სკოლას ჩაუტარდება რეაბილიტაცია და ამ მიმართულებით 9,020,000 ლარი დაიხარჯება. ასევე, იმერეთის რეგიონში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს შეხვედრები. მხარის მასშტაბით 531 სოფელში გაიმართა კრება-კონსულტაცია, რის შემდეგაც მოსახლეობის მიერ 928 პროექტი იქნა შერჩეული და ყველა მათგანი 2020 წელს განხორციელდება. ამ ეტაპზე იმერეთის რეგიონში 105 ობიექტზე მიმდინარეობს სამუშაოები, რომლებზეც 400-ზე მეტი ადგილობრივია დასაქმებული.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული საფრანგეთის ელჩს შეხვდა

ნინო ნანიტაშვილი

საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში დიეგო კოლასი იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულს, ზვიად შალამბერიძეს, შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტს და სამომავლოდ თანამშრომლობას საფრანგეთის წამყვან უნივერსიტეტებთან. გარდა ამისა, სახელმწიფო რწმუნებულმა და საფრანგეთის ელჩმა წყალტუბოს მასშტაბური რეაბილიტაციის პროექტის შესახებ ისაუბრეს და როგორც დიეგო კოლასმა აღნიშნა, მზად არის, ფრანგი ინვესტორების აღნიშნული პროექტით დაინტერესებას შეუწყოს ხელი. თავის მხრივ, ზვიად შალამბერიძემ ელჩს იმერეთში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და ფრანგ ბიზნესმენებთან ერთად 3-4 მაისს ქუთაისში დაგეგმილ ბიზნესფორუმზე მიიწვია.

“ძალიან საინტერესო შეხვედრა გვქონდა სახელმწიფო რწმუნებულთან, ვისაუბრეთ ქუთაისის და ზოგადად, იმერეთის რეგიონთან დაკავშირებით, ასევე, საუბარი შეეხო ფრანგული ენის სწავლებას იმერეთის რეგიონის სკოლებსა და უნივერსიტეტებში. გარდა ამისა, ვისაუბრეთ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და განსაკუთრებით ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტთან დაკავშირებით სამომავლო თანამშრომლობის თაობაზე. საუბარი შეეხო წყალტუბოს რეაბილიტაციის პროექტს, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო პროექტია და ასევე ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს, შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების მიმოხილვა”. _ განაცხადა ელჩმა.

სახელმწიფო რწმუნებულის განცხადებით, საფრანგეთის ელჩმა გამოთქვა სურვილი, რომ სამომავლოდ იმერეთში დაგეგმილი პროექტების განხორციელებაში ჩაერთოს. “საუბარი შეეხო იმერეთის პოტენციალს და მაისში დაგეგმილ ბიზნესფორუმს. ძალიან დაინტერესდა ელჩი მიმდინარე და დაგეგმილი პროექტებით და გამოთქვა სურვილი, სამომავლოდ პროექტების განხორციელებაში ჩაერთოს”. _ აღნიშნა ზვიად შალამბერიძემ.

მუმლრანლაში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში გაფორმდა

ნინო ნანიტაშვილი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს “საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასა” და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ღონისძიებას იმერეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, პირველი მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი და USAID/Georgia-ს მისიის დირექტორი პიტერ ვიბლერი დაესწრნენ. ხელმოწერის ცერემონიალი ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში გაიმართა. დოკუმენტს ხელი “საქართველოს აეროპორტების გაერთიანების” დირექტორმა თამარ არჩუაძემ და USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელმა მარკ მაკკორდმა მოაწერეს. მემორანდუმი მიზნად ისახავს თანამშრომლობის გაღრმავებას მარკეტინგისა და კომუნიკაციების მიმართულებით, ასევე ინვესტორების მოძიების კუთხით. 26 თებერვალს, მხარის რწმუნებული “საქართველოს აეროპორტების გაერთიანების” თანამშრომლებთან ერთად ახალი ტერმინალის მშენებლობის მიმდინარეობასაც გაეცნო.

იაპონიის იმპერატორის დაბადების დღეზე სამეგრელოს მუნიციპალიტეტის მერიც მიიწვიეს

ქეთევან ჭელიძე

რადგან ლონისძიება ფართომასშტაბიანი იქნებოდა და კორონა-ვირუსის გავრცელების საფრთხე შეიქმნებოდა, იაპონიაში იმპერატორის დაბადების დღე არ აღუნიშნავთ. თბილისში, იაპონიის საელჩოში კი, 23 თებერვალს ამ დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. მზის ქალღმერთ ამატერასუს შთამომავალს, უძველესი სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელს, იაპონიის 126-ე იმპერატორს, ნარუჰიტოს, საიუბილეო თარიღი _ დაბადების 60 წელი მიულოცეს. სტუმრებს იაპონიის ელჩი ტადაპარე უეპარა თავის მეუღლესთან ერთად იღებდა. ლონისძიებაზე საქართველოს მთავრობის წევრები, პარლამენტარები, ბიზნესმენები და სხვა მაღალი რანგის პირები იყვნენ მიწვეულნი.

იაპონელებისათვის, ამ დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე ხალხისთვის, იმპერატორი ერის ერთიანობის სიმბოლოა და მისი დაბადების დღეც ეროვნულ დღესასწაულად ითვლება. 2019 წელს იმპერატორმა აკიჰიტომ უარი თქვა მეფობაზე და ქრიზანთემის ტახტი თავის შვილს, ნარუჰიტოს, გადასცა. დასრულდა ჰეისეის ეპოქა და რეკავს ეპოქა დაიწყო, მასთან ერთად _ ახალი წელთაღრიცხვაც. რეკავს ეპოქა ჰარმონიას გამოხატავს და წესრიგსა და მშვიდობას გულისხმობს. საუკუნეზე მეტი ხნის წინ დადგენილი წესი, სიცოცხლის ბოლომდე ტახტზე მჯდარიყო იმპერატორი, პირველად დაირღვა, როცა 86 წლის აკიჰიტო გადადგა და შვილი გაამეფა. რომორც აღნიშნავენ, წესი ერთხელ კიდევ დაირღვევა, რადგან ნარუჰიტოს ვაჟი არ ჰყავს და ტახტს მისი ერთადერთი ქალიშვილი დაიკავებს (იაპონიაში სამეფო ტიტული მხოლოდ მამაკაცებს გადაეცემათ).

ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ დავძენთ, რომ იაპონიის საელჩოში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერიაც იყო მიწვეული. ვინც ჩვენს საგაზეთო პუბლიკაციებს თვალს ადევნებს, კარგად იცის იაპონელებისა და სამტრედიელების ბოლოდროინდელი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. გასულ წელს ჩვენმა მუნიციპალიტეტმა დამეგობრების თაობაზე მემორანდუმი გააფორმა იაპონიის ქალაქ მიტოიასთან. სულ ცოტა ხნის წინ, უკვე მეორედ, გვესტუმრნენ მიტოიას მერის მრჩეველი და სხვა საგანგებო პირები. საჩუქრად საკურას ნერგებიც ჩამოგვიტანეს და თავის ხელითაც დარგეს ქალაქის ტერიტორიაზე. ყველაფერი გურამ ხეოშვილის ინიციატივით დაიწყო. იგი მუსიკოს გია ხეოშვილის ვაჟია, რომელიც წლების განმავლობაში იაპონიაში ცხოვრობდა და იქაურების სიყვარულით სარგებლობდა. სწორედ მიტოიას მერის მრჩეველმა წარუდგინა იაპონიის ელჩს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი. ბატონმა ვალერიანემ ცერემონიასთან დაკავშირებული შთაბეჭდილებები ჩვენც გაგვიზიარა: "ელჩმა თბილად მიმიღო. მიტოიასთან ჩვენს დამეგობრებასაც ხაზი გაუსვა. საღამო, ჩემდა გასაკვირად, ქართული ცეკვით გაიხსნა, რომელიც ქართველმა ქალბატონმა და იაპონელმა მამაკაცმა შეასრულეს. შეხვედრა წარმომადგენლობითი იყო, დიპლომატიური კორპუსის გარდა სტუმრებს შორის სამტრედიელი კახა შენგელიაც იმყოფებოდა. ასევე, ქართველი სუმოისტი ნუგზარ ჯუღელი _ კოკაი, რომლის მიმართ იაპონელები განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდნენ. შეხვედრას ესწრებოდა, აგრეთვე, გურამ ხეოშვილი მეუღლესთან ერთად. მისი მამა იაპონიაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამჯერად შვილი ცდილობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავებას. სამტრედიაც იმიტომ აირჩია, რომ მეუღლე ჰყავს იანეთელი".

შეხვედრაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკანიანი. მან იმპერატორის დაბადების დღე მიულოცა ელჩს, ისაუბრა, საქართველოსა და იაპონიის მჭიდრო ურთიერთობაზე, საერთო ფუნდამენტურ ღირებულებებზე, ასევე _ ქვეყნებს შორის კულტურულ და ეკონომიკურ თანამშრომლობაზე. 2019 წელს ტოკიოში გამართული გამოფენაც გაიხსენა, რომელიც ქართული ღვინის, კულტურისა და ტრადიციების პოპულარიზაციის მიზნით მოეწყო. განაცხადა: "იაპონია გახლდათ ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, ხოლო 1992 წელს, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პირველივე დღიდან, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ერთგული და ძლიერი მხარდამჭერია."

რას ველოდებით სამტრედიელები მიტოიასთან დამეგობრებით და რა მიზნებს ისახავს ეს ურთიერთობა, მუნიციპალიტეტის მერმა ამასთან დაკავშირებით გვიპასუხა: "იმის ილუზია, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, არც ჩვენ გვაქვს, რომ იაპონელები აქ დიდ ქარხნებს ააშენებენ. ვუთხარით, იქნებოდა თუ არა შესაძლებელი გაცვლითი პროგრამები გვქონდა ახალგაზრდებისთვის, რაზედაც დაგვთანხმდნენ. საქმე ეხება უფროსი კლასის მოსწავლეებს. 5-6 ბავშვს კონკურსის წესით შევარჩევთ და იაპონიაში გავგზავნით. ამ დროისთვის მათთან ურთიერთობას ასე ვიწყებთ. ეს პატარა საქმე არ არის. იქ ისწავლიან, მიიღებენ განათლებას, განვითარდებიან სპორტის მხრივაც, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის სასარგებლო იქნება. დანახარჯი, რასაც ჩვენ გავწევთ, ზღვაში წვეთი აღმოჩნდება შედარებით იმასთან, რასაც ამ ქვეყნიდან ცოდნის თვალსაზრისით მივიღებთ.

რა თქმა უნდა, ჩვენც მიგვიწვევენ და დელეგაცია მიტოიაშიც გაემგზავრება. ერთ რამეს ვიტყვი: არ მინდა სადმე წავიდე და შედეგი არ იქნეს. ექსკურსიაზე წასასვლელად ადამიანმა საკუთარი ჯიბე და ბიუჯეტი უნდა გამოიყენოს. როცა ხელისუფლების წარმომადგენელი ამა თუ იმ ქვეყანაში წავა, სასარგებლო უნდა იყოს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხას რომ ხარჯავ, უკუგებაც უნდა ჰქონდეს. ასეთია ჩემი მიდგომა და მუნიციპალიტეტის მერებს შორის ყველაზე ნაკლებად ვარ საზღვარგარეთ ნამყოფი".

ვალერიანე ფოცხვერიამ პოლონეთისა და სლოვაკეთის ქალაქებთან სამტრედიის მოსალოდნელ დამეგობრებაზეც ისაუბრა: "ბატონ ოთარ ჩრდილელს ჰქონდა თავის დროზე პოლონეთის საელჩოსთან ურთიერთობა, დავუკავშირდით მათ და სამტრედიის შესაბამის ქალაქთან დამეგობრების სურვილი გამოვთქვით. ქალაქი კონინი შემოგვთავაზეს. შეიძლება, კონინიდან დელეგაცია აპრილში გვეწვიოს. ივნისში მათ აქვთ ქალაქის დღესასწაული და ჩვენც მიგვიწვევენ".

რაც შეეხება სლოვაკეთთან დამეგობრებას, უახლოეს მომავალში მუნიციპალიტეტის მერია შეთავაზებას გაუგზავნის მათ სამტრედიის ტიპის ქალაქთან დამეგობრების თაობაზე.

სიღარიბის დაძლევა კონკურენტუნარიანი ინდუსტრიის განვითარების გზით

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში, სოფლად ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შეხვედრა გაიმართა. იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა, ზვიად შალამბერიძემ და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) წარმომადგენელმა საქართველოში, ლალი დურმიშიძემ მუნიციპალიტეტების მერებს პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. საქართველოს მთავრობამ, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) მხარდაჭერით "მერძეველობის პროგრამა" დაიწყო. პროგრამის მიზანია სოფლად ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, სიღარიბის დაძლევა კონკურენტუნარიანი, მდგრადი და დივერსიფიცირებული მერძეველობის ინდუსტრიის განვითარების გზით. პროგრამის განხორციელება მოიცავს 6 წლიან პერიოდს და მისი საერთო ღირებულება შეადგენს 46.9 მილიონ ევროს. პროგრამის საქმიანობა წარიმართება რამდენიმე მიმართულებით: სწავლება _ რძის წარმოების ტექნოლოგიებში, სურსათის უვნებლობის საკითხებში, HACCAP სტანდარტებში, თანამედროვე საკვები ბაზისა და დაავადებების მართვის საკითხებში, საძოვრების მოწესრიგება, საძოვრებთან მისასვლელი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. პროექტის ბენეფიციარები იქნებიან როგორც ინდივიდუალური ფერმერები, ასევე კოოპერატივები და საწარმოები. პროგრამის განმახორციელებელი უწყებაა საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მისი არეალია: იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და სამცხე-ჯავახეთი. შეხვედრას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე იოსებ ხახალეიშვილი, მუნიციპალიტეტების მერები და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ნინო ნანიტაშვილი

აჩუქეთ სიცოცხლე 5 მცირეწლოვანი შვილის დედას

ხუთი მცირეწლოვანი შვილის დედას, 34 წლის ცირა ალიხანაშვილს სულ ცოტა ხნის წინ უმძიმესი დიაგნოზი, მელანომა დაუდგინდა.

მიმდინარე წლის 30 იანვარს ახალგაზრდა ქალი მუცლის ღრუს ძლიერი ტკივილით ექიმთან მივიდა. აღმოჩნდა, რომ მას საკმაოდ რთული მდგომარეობა ჰქონდა.

სოციალურად დაუცველი ოჯახი სამტრედიაში, ჩოლოყაშვილის 33 ნომერში ცხოვრობს. მრავალშვილიანი ოჯახის ძირითადი შემოსავალი სოციალური დახმარება და დედამთილის პენსიაა.

ცირა ალიხანაშვილის მეუღლე მამუკა ნაჭყებია უმუშევარია. როგორც ახლობლებმა გვითხრეს, ოჯახის გამოსაკვებად 45 წლის მამაკაცი არანაირ სამუშაოს არ თაკილობს.

12 წლის მარიამი, 11 წლის ანანო, 9 წლის ეთერი, 8 წლის გიორგი და წლინახევრის ნიკოლოზი ავადმყოფი დედის საწოლს არ შორდებიან. ბაშვების ერთადერთი ნატვრა, ძვირფასი დედის გამოჯანმრთელებაა.

ცირა ალიხანაშვილის ჯანმრთელობის გაუმჯობესება ოპერაციას არ ექვემდებარება. ექიმების გადაწყვეტილებით, ცირას საზღვარგარეთ რამდენიმე ძვირადღირებული ქიმია-თერაპიის კურსის ჩატარება სჭირდება.

მიუხედავად იმისა, ნაჭყებიების ოჯახს მეზობლებმა თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმი გაუკეთეს და რამდენიმე გამოკვლევის დაფინანსებაში დახმარება გაუწიეს, ცირა ალიხანაშვილს საზოგადოების მხრიდან დიდი თანადგომა სჭირდება, რის იმედსაც ოჯახი იტოვებს.

საქართველოს ბანკში სპეციალური ანგარიშია გახსნილი, სადაც ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს, თუნდაც, ერთი ლარით და 5 მცირეწლოვან შვილს დედის სიცოცხლე აჩუქოს.

ნინო ნანიტაშვილი

“რა დროს პარონია, წყალს მივყავართ ახალსოფლელები”

ხმაურით მიმდინარეობდა 21 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში საერთო კრება ტერიტორიული ერთეულის ცენტრში, შენგელიების უბანში შეკრებილი ახალსოფლის მოსახლეობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას, იმ პრობლემებზე ესაუბრებოდა, რაც ახალსოფლელებს პრიორიტეტად მიაჩნიათ. კერძოდ, ეგერთ წოდებულ რიონის გაღმა სახნავ-სათესი ფართობის მიმდებარედ წყალსაწრეტი არხის მოწყობა. დარჩენილი თანხით მოსახლეობას სურს, ბორნის მიმდებარედ, სოფლის მინი სტადიონის ახლოს, სკვერი მოეწყოს.

ახალსოფლის თემში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი, რეზო ივანიაძე “სამტრედიის მაცნესთან” თანხის განაწილების საკითხს აკონკრეტებს:

“სოფლის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში ახალსოფელზე 16 000 ლარია გამოყოფილი. აქედან 6 000 ლარი არხის მოწყობას დასჭირდება, დანარჩენი თანხით სკვერი უნდა მოეწყოს. რაც შეეხება მოსახლეობის საკარმიდამოებში ადგილობრივებისთვის, მერთან მიღწეული გვაქვს შეთანხმება, მუნიციპალური ხარჯებით და მოსახლეობის ფიზიკური ჩართულობით გადავჭრათ”.

პრიორიტეტების შერჩევისას ადგილობრივები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ნაწილი არხების მოწყობას ანიჭებდა უპირატესობას, ნაწილი _ ბორნის მშენებლობას.

“რა ჯანდაბად გვინდა საწრეტი არხი, თუ გაღმიდან მოსავალი ვერ გამოვიტანეთ. სოფელი გაღმა საყანე ფართობში მოწეული მოსავლით ცხოვრობა. მდინარე რიონმა ბორანი წაგვართვა და ჩემი მეზობლებიდან ზოგმა დახვნა-დათესვა ვერ შეძლო, ზოგმა მოწეული მოსავლის გამოტანა”. _ გაცხარებული საუბრობდა ახალსოფლელი ზინა ბუცხრიკიძე.

მას ემოციურად გამოეპასუხა თანასოფლელი კახა წულაია: “თქვენ რა გენაღვლებათ, ეზოებში წყალი არ გიდგებათ. რა მეპარონება, როცა პატარა გაწვიმებისას რამდენიმე ოჯახი წყალს მივყავართ”.

მუნიციპალიტეტის მერმა მოსახლეობა დაამშვიდა და ბორნის მშენებლობას ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაპირდა.

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიაში პირბადეზე ფასი 18 თეთრიდან 1 ლარსა და 40 თეთრამდე მერყეობს

ნინო ნანიტაშვილი

26 თებერვალს, საქართველოში კორონავირუსის შემთხვევის დაფიქსირებას პანიკა მოჰყვა რეგიონებში. სამტრედიის აფთიაქებში პირბადის შეძენის მსურველთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. თუმცა სხვა მუნიციპალიტეტებისაგან განსხვავებით პირბადეების მარაგი არ ამოწურულა. ზოგიერთ აფთიაქში ფასები გაიზარდა, ნაწილში ძველი ფასია შენარჩუნებული.

“პირბადეები გუშინაც იყიდებოდა, მაგრამ დღეს დილით ჩვენს აფთიაქში მომხმარებელთა რაოდენობა ძალიან გაზრდილია. განსაკუთრებით, ნიღბებზე, სპირტზე, წყალბადის ზეჟანგზე, ანტიბაქტერიულ ხსნარებსა და სველ ხელსახოცებზე. ჩვენთან შენარჩუნებულია ძველი ფასი _ 0,18 თეთრი ერთი პირბადის ღირებულება. მართალია, დღეს დილით 2000 ცალი პირბადე გაიყიდა, ჯერჯერობით მარაგი გვაქვს”. _ “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში განაცხადა ნატალია თვალავაძემ, შპს “ავერსი ფარმას” სამტრედიის №2 აფთიაქის მენეჯერმა.

ძველი ფასია შენარჩუნებული ჯჯს-შიც. რაც შეეხება “იმპექსს, 26 თებერვალს სამტრედიელ მომხმარებელს თუ 95 თეთრად შეეძლო, შეეძინა ერთი პირბადე, მისი ფასი 27 თებერვალს 1 ლარი და 40 თეთრი გახდა.

მართალია, მოსახლეობა აფთიაქებს პირბადეების შესაძენად დილიდანვე მიაწყდა, სამტრედიელები გარეგნულად სიმშვიდეს ინარჩუნებენ. უმრავლესობა თვლის, რომ ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების სერიოზული პანიკის საფუძველი არ არსებობს.

საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევა რამდენიმე დღის წინ დაფიქსირდა. ჯანდაცვის მინისტრის ინფორმაციით, კორონავირუსით დაავადებული მოქალაქე საბაჟოდან პირდაპირ სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს და სხვა მოქალაქეებთან მას შეხება არ ჰქონია.

ამ დროისათვის კორონავირუსით დაავადებულთა რიცხვი მსოფლიოში 80 ათასს აღემატება, გარდაიცვალა 2 700-ზე მეტი ადამიანი. დაავადებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ჩინეთის მოქალაქეა. ჩინეთის გარდა, კორონავირუსის შემთხვევები კიდევ 33 ქვეყანაში დადასტურდა. საუბარია სულ 2 500 შემთხვევაზე, საიდანაც 34 ლეტალურად დასრულდა.

“გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე!”

ნინო ნანიტაშვილი



სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური თბილისიდან მობილური ჯგუფით სამტრედიაში 27 თებერვალს ჩამოვიდა, ჩაატარა სისხლის უანგარო დონორის აქცია “გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე”. აქცია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით ჩატარდა. სისხლის დონაცია, რომელიც მერიის შენობის პირველ სართულზე მოხდა, საკმაოდ მასშტაბური აღმოჩნდა, რაშიც აქტიურად ჩაერთვნენ მუნიციპალიტეტის მერიის, ააიპების თანამშრომლები. უანგაროდ გაიღეს სისხლი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების თანამშრომლებმა, იმ შეგნებით, რომ თითოეული მათგანის მიერ გაღებული სისხლი 2 და 3 ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენს და ჯანმრთელობას შეუნარჩუნებს.

მობილური ჯგუფის ხელმძღვანელი სისხლის ბანკის დირექტორი სამედიცინო დარგში მარინა რუხაძე “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში უანგარო დონორობის მნიშვნელობას უსვამს ხაზს: “უანგარო დონორის მიერ გაღებული სისხლი ხარისხიანია და უსაფრთხო, რადგან მათი პრინციპია კაცთმოყვარეობა, ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი. ეს აქცია პირველად კი არ ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია უკვე მერამდენედ ღებულობს მონაწილეობას მსგავს ღონისძიებაში. მოვუწოდებთ ყველას, მიმართონ სამტრედიის მერიის თანამშრომლების მაგალითს: გაიღეთ სისხლი, გადაარჩინეთ სიცოცხლე. ბატონი ვალერიანე ფოცხვერია გამორჩეული მერია იმით, რომ ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ კაცთმოყვარე და საქველმოქმედო აქციას.

ვსარგებლობ შემთხვევით და განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი სოციალური სამსახურის წარმომადგენელს, დარეჯან ქავთარიას. დღის მეორე ნახევარში სისხლი უანგაროდ გაიღეს სამტრედიის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლებმა.

თბილისის მერი ყოველწლიურად სამტრედიის მერს მიმართავს, ორგანიზება გაუწიოს და მონაწილოება მიიღოს სისხლის უანგარო დონორის აქციაში; “გაუზიარე სიცოცხლე, გაიღე სისხლი”. ჩემთვის ეს აქცია სავალდებულო კი არის და დიდი სიამოვნებით ვღებულობ მონაწილოებას, რადგან ნებისმიერი სიცოცხლის გადარჩენაში მონაწილეობა ყველა ადამიანისგან ღირსეული ნაბიჯია”. _ თქვა აუდიტის თანამშრომელმა ია ბერძულმა.

ეს ჩვენ ვართ, ხალხი

ლევან გაბეჩავა

გრაფომანიით (წერის ავადმყოფური სურვილი) ნამდვილად არ ვარ შეპყრობილი, დღეს იმ, ჯერაც მოუგვარებელი პრობლემის ირგვლივ მსურს საუბარი, ბევრი დაპირების მიუხედავად, პრობლემადვე რომ რჩება. მასობრივ უმუშევრობაზე მოვახსენებთ. მმართველმა ძალამ წინასაარჩევნ(ებ)ოდ არაერთხელ დააანონსა, რომ ქვეყანაში მთავარი გამოწვევა სწორედ მასობრივი უმუშევრობაა, მაგრამ, სამწუხაროდ...

ამასობაში კი, ქალაქიდან თუ სოფლიდან, ამერ-იმერიდან ხალხი მასობრივად მიდის ახლო თუ შორეულ საზღვარგარეთში, შესაბამისად, თავისა და ოჯახის გადასარჩენად.

ნეტარხსენებული ოტია იოსელიანი მავონდება, უფრო სწორად მისი ერთ-ერთი ინტერვიუ ტელეკომპანია "რიონზე". დედების სითბოს მოკლებული თაობა ძნელად შეძლებს საზოგადოებაში დამკვიდრებას, ისინი ვერ იჭრებიან სიყვარულის მატარებლები, ახალგაზრდების გაუცხოება კი არათუ მათი, ხელისუფლების დანაშაული იჭრებაო. დაახლოებით, ეს შინაარსი, პათოსი იკითხება, ბატონი ოტიას ნაამბობიდან.

სამწუხაროდ, მართალია, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ სწორედ ის თაობაა დღეს ასპარეზზე, რომელთაც გარემოებათა გამო მშობლების ყურადღება დააკლდათ. იჭრებ ესეცაა, ამდენი გახშირებული (თვით) მკვლელობების, დანაშაულის, ძალადობის... შედეგი. გაგვიგრძელდა საუბარი.



წელი კი არა, წლები, გავიდა და ვერ იქნა და ვერ ავამოქმედეთ საწარმოები, ვერ ავაშენეთ ფაბრიკა-ქარხნები. იმთავითვე ვიცოდით, ათობით და ასობით ფაბრიკა-ქარხანა სურვილისთანავე რომ არ (ვერ) აგუგუნდებოდა, მაგრამ გულუბრყვილო ბავშვივით ნამდვილად მწამდა, რომ ერთ დროს უმსხვილეს სამრეწველო, სარკინიგზო რაიონში, სამტრედიაში ერთი მძლავრი ქარხანა მაინც ამუშავდებოდა, არა მავანთა თავმოსაწონებლად, არამედ ხალხის დასასაქმებლად.

მოვტყუვდით სამწუხაროდ, მოვტყუვდით მწარედ და უკვე მერამდენედ. მოვიხსნათ მუქი სათვალე, ნუთუ ხელისუფალთა ყურამდე არ მიდის ინფორმაცია, რომ მასწავლებლები ტოვებენ სკოლებს, შესაბამისად ოჯახებს, საყვარელ პროფესიებს და მიემგზავრებიან საზღვარგარეთ?!

ნუთუ არის დღევანდელ საქართველოში ქალაქი, დაბა, სოფელი, უბანი, კორპუსი, სადაც უნარიან ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა საზღვარგარეთ არ იყოს?!

ასოცი ოჯახი ვცხოვრობდით ამ კორპუსში, 22-და დავრჩითო, გულისტკივილით მითხრეს ამ დღეებში ქუთაისში ყოფნისას.

თებერვლის დასაწყისში, ამინდების გაუარესების მიუხედავად, მისი უდიდებულესობა _ გზაფხული სულ უფრო გვიახლოვდება, თუმცა, ნაცვლად იმისა, ხელისუფლებამ რაიმე, ხალხისთვის ხელსაყრელი შემოგვთავაზოს საგზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებით, შესაბამისად, აგრარული სექტორის გასავითარებლად, ალაონიდან დაისამდე, გაუთავებელი საუბარია მავანთა მტყუან-მართლის გარკვევაზე, ყოფილი, ექსკადრების კვლავ სარგებლიანობასა და დიდ პოლიტიკასა თუ აღმასრულებელ საკანონმდებლო ორგანოებში მათი დაბრუნების სამართლიანობაზე. ამასობაში კი სუსტდება ცალკეულ უწყებათა, სამინისტროთა, დეპარტამენტთა პასუხისმგებლობა.

მაგალითები? რამდენიც გნებავთ:

"თბილისში, ჯიქიას ქუჩაზე გაჩენილი ხანძარი სასწრაფოდ ჩაქრეს, დამწვარია 10 ჰექტარი ფართობი! რა სისწრაფეზეა საუბარი, როცა 10 ჰექტარი დაიწვა?

ქვეყანაში ტურისტებს ვეპატიჟებით, მსოფლიოს ჩვენი ქვეყნის ტურისტული შესაძლებლობების გრანდიოზულობაში ვარწმუნებთ და მთის კურორტებზე ტურისტები უწყლოდ დაგვრჩნენ, წელს კი ზვავმა ჩაიტანა რამდენიმე ტურისტი. ვთქვათ, პირველი შემთხვევა _ უწყლობა საბოტაჟი, ძალით ხელოვნურად შექმნილი პრობლემა გახლდათ, სად იყვნენ ამ დროს შესაბამისი უწყებები?

ავტოსაგზაო შემთხვევებმა რომ იმატა ქვეყანაში კატასტროფულად და დიდი ხანია, საგანგაშო ნიშნულს გასცდა, არაა დასაფიქრებელი?

გამოძიების საბოლოო დასკვნამდე ბაღდათში მომხდარ ტრაგედიას მე ვერ შევაფასებ, არც ვარ კომპეტენტური, მაგრამ სოციალურად დაუცველებთან მიმართებაში ქვეყანაში საქმე მაინცდამაინც კარგად რომ არაა, ხომ ცხადია? თუნდაც თვენახევრიანი იძულებითი შიმშილი, ანუ ტენდერის გამოცხადებიდან გამარჯვებულ ორგანიზაციის გამოვლენამდე უფასო სასადილოების ბენეფიციართა და პურის მიმღებთა თვენახევრიან-ორთვიანი იძულებითი შიმშილი ამისი ცხადი მაგალითი არაა, თუმცა, ამაზრზენი და რატომღაც, წლების მანძილზე არა გამოსწორებადი.

საარჩევნოა მიმდინარე 2020 წელი.

უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ამას ქვეყნისათვის, საქართველოში მცხოვრები თითოეული მოქალაქისათვის. აქაც ერთი რამ გვაღელვებს.

საქართველოში, უძველესი პარლამენტარიზმის ქვეყანაში ისე გავიჭედეთ (გავიჭედეთ კი?), რომ მსოფლიოს განსჯის საგანი გახდა რა სისტემით ჩატარებული არჩევნები უფრო ხელსაყრელია საქართველოსა და დემოკრატიისათვის. საკვირველია ერთი რამ, ბოლო ხანებში ქართული პოლიტიკისა და პოლიტიკოსებისათვის ჩვეულებად რომ იქცა. ჩვენ, ხალხს, მაღალჩინოსანთაგან კონკრეტული ნაკლის, პრობლემის აღიარება კი არ გვინდა, არამედ აღიარებას პლუს ნაბიჯი და ძალისხმევა მათ გადასაჭრელად.

მაღალჩინოსანთაგან "ტვიტერზე" დაწერა _ ასეთი და ასეთი რამ არ უნდა ხდებოდესო, არაა საკმარისი, ძალისხმევაა საჭირო საიმისოდ, რომ კონკრეტული დანაშაული არ მოხდეს.

პატივს ვცემთ პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ თალაკვაძესა და ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბატონ ტრამპს, მაგრამ რად გვინდა ბატონი ტრამპის გზავნილი ბატონი თალაკვაძის მეშვეობით: საქართველოში საქმე კარგადაა და არა ისე, რამდენიმე სენატორმა, რომ შეაფასაო? განა მე, თქვენ, ჩვენ უკეთ ვერ ვხედავთ, რა ვითარებაა ჩვენს ირგვლივ? ჩვენს სამეზობლო-სამეგობროში? აკაკი წერეთელისა არ იყოს: ჯიბეში რომ თაგვები "პოლკა-მაზურკას" თამაშობენ, ჩვენზე უკეთ ვინ იცის?!

არაა ღირსი საქართველო უქართველოდ იარსებოს, საკუთარ შვილებს ვერ მოუაროს და სხვები ჩაიკრას გულში.

სათქმელს უთუოდ მიგვიხვდა მკითხველი. ხალხს არსებობა უნდა, საარსებოდ კი სამუშაო ადგილებია საჭირო, მყარი, გარანტირებული სამუშაო ადგილები და არა მოჩვენებითი, დროებითი (თუმცა) დროებითსაც არ დაიწუნებდნენ.

უნდა დამთავრდეს დაპირებებით ხალხის კვება.

დროა, დასრულდეს დაუსრულებელ ბრალდებათა მავნე პრაქტიკა პოლიტიკურ ოპონენტებს შორის.

დროა, დასკვნები დაიდოს რეზონანსულ დანაშაულთა საგამოძიებო საქმეებზე.

რაკიღა უკვე უარყოფილი სოციალიზმისდროინდელი რეჟიმის შემდეგ ვერავინ და ვერაფერი ვნახეთ უკეთესი, კვლავ ძველებური (სოციალისტური) მოწოდებით დავასრულოთ წერილი:

ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის!

მერსა და ეკოკლუბელებს შორის გაფორმებული მემორანდუმის მოთხოვნები დაკმაყოფილდა

ნათია ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტის მერთან, ვალერი ფოცხვერიასთან, სამტრედიის მეათე საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგის, ეკა ფოცხვერიას და სკოლის კლუბ "ეკომებრძოლების" შეხვედრის შესახებ ცოტა ხნის წინ ვაუწყეთ ჩვენს მკითხველებს. შეხვედრაზე ეკოკლუბელებმა მუნიციპალიტეტის მერს მიაწოდეს ინფორმაცია პროექტის "ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია" და ამავე პროექტში მათი ჩართულობის შესახებ. მუნიციპალიტეტის მერი აღფრთოვანებით შეხვდა ახალგაზრდულ ინიციატივას და ხელი მოეწერა მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ. მემორანდუმის თანახმად, ვალერიანე ფოცხვერიამ გამოთქვა თანხმობა, რომ უზრუნველყოფდა "ნახალოვკის" თემში არსებული პარკისათვის ნარგავების შეძენას და ადგილზე მიტანას.

ეკა ფოცხვერია: "სამტრედიის მეათე საჯარო სკოლის ეკოკლუბის წევრები მადლობას უხდიან მუნიციპალიტეტის მერს, 2020 წლის 18 თებერვალს მეათე საჯარო სკოლასა და მუნიციპალიტეტის მერს შორის გაფორმებული მემორანდუმის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. მერიისა და გარემოსდაცვითი სამსახურის მხარდაჭერით, მოსწავლეების მიერ დასუფთავებულ სკვერში, რომელიც ნახალოვკის თემში მდებარეობს, კლუბის წევრებმა, იაპონელებმა და მოხალისეებმა იაპონური ალუბლის ნერგები დარგეს.

"ვფიქრობდი, დიტოს პატრონი არ ჰყავს და ამერიკაში სასწავლებლად ვინ გაუშვებს-თქო"

ნინო ნანიტაშვილი

"სიხარულის ცრემლებს ვერ ვიკავებ, დედა. გამაყობ, შვილო, დიტო, შენით!" _ ასე ემოციურ პოსტს აქვეყნებს სოციალურ ქსელში სამტრედიელი ემიგრანტი ქალი.

პროფესიით მედდა, ნანა ჯანელიძე რამდენიმე წელია, საკუთარი ოჯახიდან მოშორებით, იტალიის ქალაქ ბარში ემიგრაციაში ცხოვრობს. როცა ამ პოსტს აქვეყნებდა, მისი შვილი, 26 წლის დიმიტრი ჩაგრაგანიძე ამერიკაში, ოკლაჰომას აეროპორტში იმყოფებოდა, საიდანაც ჯერ საფრანგეთში, შემდეგ ისრაელში და ბოლოს, საქართველოში უნდა ჩამოფრენილიყო.

დიმიტრი ჩაგრაგანიძე გორის თავდაცვის აკადემიის კურსდამთავრებულია და ხონის საარტილერიო მეექვსე ბრიგადაში მსახურობს. რვა თვის წინ თავდაცვის სამინისტროში გამოცდები ჩააბარა და ამერიკაში სწავლის უფლება მოიპოვა.

დიმიტრი ჩაგრაგანიძემ რვათვიანი სწავლება წარმატებით გაიარა და შესაბამისი დიპლომიც აიღო. ამის ამსახველ ფოტოსურათებს დედა სოციალურ ქსელში აქვეყნებს და "სამტრედიის მაცნესთან" გულახდილად ამბობს, რომ ამას არ მოელოდა: "ვფიქრობდი, დიტოს პატრონი არ ჰყავს და ამერიკაში სასწავლებლად ვინ გაუშვებს-თქო. გამოცდების შემდეგ თავდაცვის სამინისტროში რომ დაიბარეს და ამერიკაში გასამგზავრებელი ბილეთი გადასცეს, მაშინ ვიწამე ყველაფერი". _ გვეუბნება დედა.

კვალიფიკაციაამაღლებულ დიმიტრი ჩაგრაგანიძეს საქართველოში სამხედრო სამსახური, ოჯახი, საყვარელი მეუღლე და პატარა ვაჟკაცი, დაჩი ელოდება.

მშობლიური ენის საერთაშორისო დღე აღინიშნა

სანამ ჩვენს ენაზე ვმლერით

ლევან გაბეჩავა

იქნებ ბევრს არ გაუგია, იქნებ ბევრმა არ იცის,
რომ ქართველი თავის მამულს, გულს და ენას არ იცვლის,
დაულვრია ცრემლი, სისხლი, აშკარაც და მალულიც,
გულით ენა შეუნახავს, ენით კიდევ მამული...

ნ. ჯალაღონია

ეს თარიღი "იუნესკომ" 1999 წელს დააწესა ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების, განვითარებისა და წარმოჩენის მიზნით. ამ დღის შემოღება 1952 წლის 21 თებერვალს, ბანგლადეშში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება, როდესაც ბენგალიურის სახელმწიფო ენად გამოცხადების მოთხოვნით განვითარებულ აქციის დროს ოთხი სტუდენტი დაიღუპა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში ქართული ენის შენარჩუნების საკითხი ძალზე აქტუალური იყო 1978 წელს. საქართველოში "დედაენის" დღედ 14 აპრილია გამოცხადებული.

საქართველოში მრავალი ეთნოსი ცხოვრობს, რომელთათვისაც მშობლიური ენის შენარჩუნების საკითხი დღესდღეობით განსაკუთრებით აქტუალურია.

დადებითად უნდა შეფასდეს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა 2015-2016 სასწავლო წელს საქართველოს ზოგიერთ სკოლაში მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობის მშობლიური ენების სწავლება, სახელდობრ, ოსური, ასურული, უდიური, ქურთული და ა. შ.

წინასწარ არაფერი დაგეგმილა იმ დღეს მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში. შუადღისას, როცა დარბაზში მკითხველი ჭარბად იყო, თანამშრომლები შევიდნენ და...

შეკრებილთ მიესალმა და 21 თებერვლის _ მშობლიური ენის საერთაშორისო დღის შესახებ ისაუბრა მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა ქალბატონმა ლამარა დუნდუამ.

საინტერესო ინფორმაციებით წარსდგნენ შეკრებილთა წინაშე ქალბატონები: იზაბელა ლეგაშვილი, ქეთევან ნიკურაძე, ნანა გეგუჩაძე, ნანა ნიკოლეიშვილი, მარინა ჩხაიძე, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ბენიამინ ასატურიანი და სხვები.

აბიტურიენტებმა, მოსწავლეებმა, ახალგაზრდებმა, ნუკა ხარგელიამ, მონიკა ბოკუჩავამ, თამუნა ჯინჭველეიშვილმა თავიანთი გამოსვლებით გაალამაზეს შეხვედრა და მადლობა გადაუხადეს ორგანიზატორებს.

ერთ საათს გაგრძელდა დაუგეგმავი, სპონტანური აქტივობა, თუმცა ღრმაშინაარსიანად.

განსაკუთრებული იყო №2 საჯარო სოლის პედაგოგის, ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველის, ბატონ ჯუმბერ ლაგაძის გამოსვლა, რომელმაც სკოლის, ოჯახის, საზოგადოების წვლილზე ისაუბრა მშობლიური ენის დაცვისა და სხვათა ენებისადმი პატივისცემის საქმეში.

ქართველებს სხვებისგან არ გვესწავლება ტოლერანტობა. ამდენად, უნდა გავუფრთხილდეთ მშობლიურ, თავანკარა ქართულ ენას და პატივი ვცეთ მცირე ერების მშობლიურ ენებსაც.

UNESCO

ახალგაზრდა საინტერესო გეგმებით

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში სექტემბრიდან კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზატორის თანამდებობრივ პოზიციას მარიამ ჯულაყიძე იკავებს. მარიამმა უკვე შეძლო მოსწავლეთა სიყვარულის მოპოვება და კულტურულ ღონისძიებებს მისეული ხელწერა დაატყო. ის თავადაც საინტერესოდ ერთვება ამა თუ იმ ღონისძიებაში. მარიამი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია.

"სიამოვნებით დავთანხმდი ქალბატონ ტატა გოგუაძის შემოთავაზებას, მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლში დამეწყო მუშაობა, მას ვენდობი, რადგან დაინახა ჩემში შესაძლებლობები, ძალიან გამიხარდა. სექტემბრიდან აქ ვარ, თვეში სამი-ოთხი ღონისძიება გვაქვს, ახალგაზრდული პარლამენტის შეხვედრებს კი ინტესიური და მასშტაბური ხასიათი აქვს. ერთობლივად განვიხილავთ თითოეულ იდეას და ვგეგმავთ საინტერესო შეხვედრებს თუ საღამოებს, მიუხედავად იმისა, ელიკო მასწავლებელს არ უყვარს ამის საჯაროდ თქმა, უნდა აღვნიშნო, რომ ის განსაკუთრებული გვერდით მდგომი და გზამკვლევია, ჩემი სული და გული კი, ამ ახალგაზრდულ პარლამენტში, პარლამენტის ლიდერი, სკოლა "ცოდნის" მეთერთმეტეკლასელი, ლუკა ტულუშია." _ გვეუბნება ჩვენი რესპონდენტი.

წარმატებულ სტუდენტს წინ მრავალი გეგმა აქვს, ამ სახლში მუშაობა კი, ამ გეგმებიდან ერთ-ერთია." დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი ამ სახლში უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც, უახლოესი გეგმა მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელებაა, ვსწავლობ ფრანგულ ენას და გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ჩემი ოცნებაა საფრანგეთში სწავლის გაგრძელება, მაქვს რამდენიმე ჰობი, უპირველესი კითხვაა, განსაკუთრებით ლიტერატურა მიზიდავს, ძალიან მიყვარს პოეზია. აქ რომ მოვედი, პირველი ღონისძიება აფხაზეთის დაცემის ტკივილიან თარიღს მივუძღვენით, ახალგაზრდების დიდი ჩართულობა იყო, ღონისძიებაც ძალიან კარგი გამოვიდა, ახალგაზრდული პარლამენტის წევრები კოორდინირებას უწევენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლებს, რაც აფართოებს ჩვენი ღონისძიებების მასშტაბებს. დიდი ინტერესია ყველა სკოლისგან, წინ კიდევ უამრავი საინტერესო იდეა გვაქვს, რომელთაც, მჯერა, ჩვენი შესანიშნავი გუნდის და ბავშვების ერთობლივი მონაწილეობით განვახორციელებთ. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ქალბატონი ტატას მხარდაჭერა, რომელიც ყველა ჩვენს წამოწყებას აიტაცებს და ფრთებს შეასხამს ხოლმე."

ნათია ნაცვლიშვილი

"ასე მგონია, ვაკეთებ საქმეს, რაც სისხლხორცეულად არის ჩემში"

ნინო ნანიტაშვილი

მისი დილა უამრავ საზრუნავზე ფიქრით იწყება. ხუმრობა საქმე როდია, ოჯახი, რომელიც, მართალია, ერთ ჭერქვეშ არ ცხოვრობს, ქალბატონი ლარისას თქმით, 14 წევრისგან შედგება: მეუღლე, ორი შვილი, ორი შეძენილი შვილი სიძეების სახით, ოთხი შვილიშვილი თავიანთი მეუღლეებით და ყველაზე საპატიო წევრი, შვილთაშვილი ალექსანდრე. ამ სიმდიდრეს 67 წლის ქალბატონი, ლარისა ჩორგოლაშვილი ფლობს და როგორც მისი უფროსობა ამბობს, საუკეთესოდ უთავსებს საზოგადოებრივ საქმიანობას.

ლარისა ჩორგოლაშვილი დასავლეთ ელექტრომომარაგების სამმართველოს მთავარი ბუღალტერია. პროფესიით ეკონომისტს განათლება თბილისის საბაზრო ეკონომიკისა და იურიდიულ ინსტიტუტში აქვს მიღებული. მანამდე კი საბუღალტრო აღრიცხვას დაეუფლა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. რკინიგზაში პირველი ნაბიჯები 1972 წლიდან გადადგა და საქმიანობა დაიწყო რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაში ეგრეთ წოდებულ ნოდხაში. კვალიფიციური, მოწესრიგებული ახალგაზრდა შეუმჩნეველი არავის დარჩენია და მოანგარიშეობიდან მთავარ ბუღალტრამდე აიწია. წარმოების გაუქმების შემდეგ, 1993 წლიდან დღემდე, დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოში მთავარი ბუღალტრის თანამდებობას იკავებს. მის არქივში უამრავი სიგელი და ხელმძღვანელების სიტყვიერი მადლობა ინახება.

ის, რომ ქალბატონი ლარისა ღირსეული რკინიგზელია, ამაზე უხარვეზოდ გატარებული მისი პროფესიული საქმიანობა და სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან გამოხატული პატივისცემა მეტყველებს.

როდესაც სამმართველოს ხელმძღვანელობას ვთხოვეთ, ღირსეული რკინიგზელი ქალბატონი შემოეთავაზებინა, ყველა შეთანხმდა, რომ ასეთი ქალბატონი ლარისა იყო. მათ შორის ზურაბ გოგოხია, რკინიგზის ელექტრომომარაგების სამმართველოს უფროსი გახლდათ: "ლარისა ჩორგოლაშვილი თავდადებული, შრომისმოყვარე, უღალატო ქალბატონია. მისთვის არ არსებობს დასვენების დღეები. ნებისმიერ სიტუაციაში ნახულობს დროს, სამმართველოსთვის სამსახური გასწიოს. არის პროფესიონალი ფინანსისტი, პრინციპული, უკონფლიქტო ქალბატონი, რომელიც საუკეთესო ურთიერთობებს ინარჩუნებს მუშამოსამსახურეებთან. მისი პიროვნებიდან გამომდინარეა ისიც, რომ ჩვენ სამმართველოში უპრობლემოდ ავიყვანეთ თანამშრომელად მისი ქალიშვილი და შვილიშვილი. 26 წლის ახალგაზრდა, გურამ ხუჭუა ძველი სპორტსმენია, რაც საკონტაქტო ქსელის ინჟინრად მუშაობაში ეხმარება. ბებიას დარად გურამიც თანამშრომლებში ავტორიტეტით სარგებლობს. მინდა, ვისარგებლო თქვენი სტუმრობით და ყველა ჩემს თანამშრომელ ქალბატონს გაზაფხულის დღესასწაულები მივულოცო."

"საზოგადოებრივ საქმიანობაში წარმატება ერთია, მაგრამ, არანაკლებ მთავარი ოჯახია", _ ასე ფიქრობს ლარისა ჩორგოლაშვილი. წარმოშობით ქართველი ქალბატონი, იმერეთს მშვენივრად შეეგუა. გარემოსა და ხალხთან ადაპტაციაში დედულეთი გამოადგა. ბორჯომის რაიონის, დაბა ბაკურიანის მკვიდრი ზაფხულს სამტრედიის სიახლოვეს, სოფელ გვაზაურში ატარებდა, სადაც ბებია, ბიძებთან და ბიძაშვილებთან ერთად ცხოვრობდა. სასწავლებლადაც ამიტომ აირჩია დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმი, სადაც მომავალი მეუღლე, მალხაზ ჩორგოლაშვილი გაიცნო. მაშინ 1971 წელი იყო. მალევე შეუღლდნენ და მოგვიანებით ორი ქალიშვილი გაჩნდა, ლელა და სოფიკო ჩორგოლაშვილები.

ლელა ჩორგოლაშვილი პროფესიით პედაგოგია. სამტრედიის №1 საჯარო სკოლის პედაგოგია, რაც შეეხება სოფიკოს, ის ინჟინერ-ტექნოლოგია, დღეისთვის მუშაობს დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოში წამყვან ბუღალტრად. როგორც სოფიკო ამბობს, დედის როლი მის პროფესიულ ზრდაში უდიდესია.

"ძალიან მერიდება, რადგან სამმართველოს ხელმძღვანელობამ ჩემზე შეაჩერა არჩევანი, რადგან ჩვენთან კოლექტივში ბევრი ღირსეული ქალბატონია, რომელსაც თქვენი გაზეთის ფურცლებიდან თავადაც სიამოვნებით მივულოცავდი დედის დღეს და 8 მარტს. მადლიერი ვარ იმით, რომ ჩემი საქმიანობა დაფასდა, მთვლიან ღირსეულ რკინიგზელ ქალბატონად.

სამსახური ჩემთვის, მართლა, ყველაფერია, დილის გათენება და აქ მოუსვლელობა წარმოუდგენლად მიმაჩნია. პასუხისმგებლობა უფრო სიყვარულში გადადის, ვიდრე მოვალეობაში. ასე მგონია, ვაკეთებ საქმეს, რაც სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ჩემთან.

ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ამ 48 წლის განმავლობაში ერთი შენიშვნა, ერთი საყვედური არ მიმიღია ხელმძღვანელობიდან. არაჩვეულებრივ, თბილ და სასიამოვნო ურთიერთობაში ვარ ყველა თანამშრომელთან.

მაბედნიერებს ჩემი დიდი ოჯახი. მართალია, ერთ ჭერქვეშ არ ვცხოვრობთ, მაგრამ, ვინაიდან ქალიშვილები ტერიტორიულად ახლოს ცხოვრობენ, ფაქტობრივად, ერთად ვართ. კმაყოფილი ვარ შეძენილი შვილებით, სიძეებით, ოთხი შვილიშვილით თავისი მეუღლეებით და ყველაზე დიდი სიხარულით, შვილთაშვილით, 4 წლის ალექსანდრეთი.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და "სამტრედიის მაცნეს" მადლობა გადავუხადო, მისი ფურცლებიდან ყველა ქალს, ყველა დედას, განსაკუთრებით კი რკინიგზელებს, ჩემი სამმართველოს ქალბატონებს დამდეგი 3 და 8 მარტი მივულოცო".

რკინიგზელი ქალბატონები

ჩვენი ფოლადის მაგისტრალის მრავალათასიან კოლექტივს არაერთი სახელოვანი რკინიგზელი ქალი ამშვენებს, რომლებსაც გარკვეული წვლილი შეაქვთ რკინიგზის ტრანსპორტის შეუფერხებელ მუშაობაში. მათ რიცხვს, ვინც მრავალ წელს ემსახურება თავის საქმეს, სამტრედიის დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს ინჟინერ-სპეციალისტი მედეა გეგია მიეკუთვნება. მან 1976 წელს დაამთავრა სამტრედიის რკინიგზის №24 საშუალო სკოლა, ხოლო 1984 წელს _ როსტოვის რკინიგზის ინსტიტუტის ლიანდაგის მშენებლობა, გზა და საგზაო მეურნეობის ფაკულტეტი. იმავე წელს მუშაობას იწყებს სამტრედიის სალიანდაგო დისტანციაში _ ლიანდაგის ბრიგადირად, ინსპექტორად, ხარჯთა აღრიცხვის, შრომის ნორმებისა და ორგანიზაციის ინჟინრად, სადაც დღესაც აგრძელებს მუშაობას. დისტანცია მრავალი წელია მუშაობს უავარიოდ და უწუნოდ, რაშიც გარკვეული წვლილი მიუძღვის ქალბატონ მედეას. ის სიამოვნებით უზიარებს თავის მდიდარ გამოცდილებას მომავალ თაობებს. თვითონაც პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებს კოლექტივისაგან.

ქალბატონი მედეა ორი შვილის დედაა: ლენა უჩავა ექიმი სტომატოლოგია, ვაჟიშვილი ლაშა _ ექიმი ენდოკრინოლოგი, მედიცინის დოქტორი. მეუღლე, პლატონი უჩავა, რეგიონის უფროსის მოადგილეა.

არ შეიძლება, ქალბატონ მედეასთან ერთად არ დავასახელოთ რკინიგზის დასავლეთ რეგიონის საწარმოების: სალოკომოტივო, სავაგონო, სალიანდაგო, ელექტროფიკაციის, კავშირგაბმულობის, ელექტროსამონტაჟო, სსტსა და სადგურში მომუშავე ქალბატონები: ეველინა დარსაველიძე, ლუბა სემიონელო, ნადეჟდა სუთიძე, ციცინო კოხრეიძე, ლალი კოპალეიშვილი, ნინო გეგეჭკორი, მაყვალა ნიკურაძე, გოგონა მიქაშაძე, ჯანიკო ნადირაძე, ნინო და ირინა არველაძეები, თამარ აბზიანიძე, ნანა ღაღანიძე, მარინა მხეიძე, ნაზი საღარეიშვილი, როზა გეგეშიძე, ნონა წიქვაძე, ლუიზა მუქერია, ირმა მსხილაძე, ნანა ამბროლიანი, მზია სულაქველიძე, ფატი კოპალეიშვილი, ლამარა ქალდანი, ქეთევან თავაძე, ლილი სტურუა, ნელი ციცხვაია, ნინო ყუბანეიშვილი, მანანა ნადირაძე, ნატო სიგუა, ნათელა ჯაში, ლიანა კიკაჩეიშვილი, ნინო სესიაშვილი, მზია კამკამიძე, ნარგიზა ტონია, რიტა თადუმაძე, ხათუნა ხონელიძე, ლიანა კოპალეიშვილი, ეკატერინე ძველაია, გიული ცაგურია, მაია ბაკურაძე, სესიალია დუნდუა, ლამარა ჩორგოლაშვილი, მაია ზაქრაძე, ნინო ამაღლობელი, ნათელა ნიკოლეიშვილი, ციცინო ღაღანიძე, თინათინ მგელაძე, ქეთევან შილაკაძე, ქრისტინა ნადირაძე, მანანა გაგუა, მარინა ნიკოლეიშვილი, მანანა და სოფო კიკაჩეიშვილები, ფატი კვერნაძე, დარეჯან ველიაშვილი, თამარ სანიკიძე, გულნაზი მარკანიანი, ელისო ბოკუჩავა.

აქვე მინდა გამოვყო რკინიგზელი ექიმების ღვაწლი, რომლებიც მუდმივად იმყოფებიან ჯანმრთელობის დაცის სადარაჯოზე: ნანა ცირეკიძე, ირინა დოკაძე, დარეჯან ნინიძე, მანანა ფოფხაძე, მაგული წვერავა, მადონა მინაშვილი, ირმა ხაჩიძე, ნატო მიქელაძე, მაია გაბუნია, მაია იობაძე, ნათელა არველაძე, მაკა გაბედავა და სხვები. ვულოცავთ მათ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეს, ვუსურვებთ ხანგრძლივ ცხოვრებას, ბედნიერებას და სიყვარულს!

რევაზ შამათავა

თურქეთში ქართველი თინას ცხოვრება მალე ქართულად ითარგმნება

მოკლედ, არ არსებობს კვირა დღე და კვირის სხვა დღეები, რაიმე რომ არ იგემებოდეს. ემიგრანტებს არ გვეძლევა მოდუნების საშუალება. ქართული კულტურისა და სულის მოამაგე, შუაგულ კონსტატინეპოლში, ქართული სათვისტომოს კაფე "გალაკტიონში" ჩატარდა ახალგაზრდა მწერალ ირმაქ ზილელის რომანის "son bakis" _ "უკანასკნელი შემოხედვას," წარდგინება, რომელიც თურქეთში მოღვაწე ქართველი ემიგრანტი ქალის, სახელად თინას ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს. წიგნი ქართველი მკითხველისთვის მალე ქართულადაც იქნება ხელმისაწვდომი.

21 თებერვალს, მშობლიური ენის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სტამბულში კონგრესი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ კავკასიელი ყველა ეროვნების კულტურული საზოგადოების წარმომადგენლები. სასიხარულოა, რომ ქართველ ემიგრანტებს წილად ხვდათ ბედნიერება, მონაწილეობა მიეღოთ ამ ღირსშესანიშნავ ღონისძიებაში და წარმოეჩინათ საქართველო და ქართული კულტურა.

ჩვენ, ქართველი ემიგრანტები აქტიურად ვართ ჩაბმული ყველა იმ საქმეში, რასაც მოითხოვს ჩვენი ქართველობა და სადაც იგრძნობა ქართული სული.

თურქეთში მყოფი საამაყო "ჩვენებურების" წარმომადგენლებმა მშობლიური ენის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ კონგრესზე ბავშვობიდან მოყოლებული ქართული ენის სიყვარულზე ისაუბრეს. ემოციური იყო აფხაზეთის წარმომადგენლის გამოსვლა, რომელმაც აფხაზურად ისაუბრა. მართალია, შინაარსი არავის ესმოდა, მაგრამ მისახვედრი იყო, რომ მისი მხარის კულტურასა და სამშობლოზე ჰქონდა გამახვილებული ყურადღება.

ღონისძიების დამთავრების შემდეგ წარმოდგენილი იქნა ყველა ეროვნების ეროვნული ტრადიციული სამზარეულო. შესრულდა ეროვნული სიმღერები, წაიკითხეს გალაკტიონ ტაბიძის "ქარი ქრის". საღამო ლამაზი და ემოციური გამოვიდა. დასასრულს სიმბოლური საჩუქრები დარიგდა.

ნატალია ეგრისელი

მერაბ ჯანელიძე _ მუდამ წარმატებასთან გაიგივებული

ნათია ნაცვლიშვილი

ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა გამოირჩეოდა თავისი ნიჭიერებით და მაღალი პროფესიული სტანდარტით. სამტრედიის რკინიგზის საავადმყოფო თუ რაიონის ცენტრალური საავადმყოფო, ყველა უწყება, სადაც კი მერაბ ჯანელიძეს უმოღვაწია, მისით ამაყობდა. 1997-2011 წლებში იყო რაიონის მთავარი ქირურგი, თავდაუზოგავმა შრომამ და პროფესიის უკიდეგანო სიყვარულმა მერაბ ჯანელიძის ავტორიტეტი თანდათან აამაღლა. თვალი რომ გადავავლოთ მის შთამბეჭდავ ბიოგრაფიას, იმ კლინიკების ჩამოთვლა გადაგვღლის, სადაც კი მას სხვადასხვა წლებში უმუშავნია. ეს გვარსახელი მის მშობლიურ პატარა ქალაქსაც კარგა ხანია გასცდა და მის სამშობლოსაც.

1997 წელი _ საფრანგეთი, ელზასი, ტრანსპლანტაციის ეროვნული ცენტრი, 1998 წელი _საბერძნეთი, ათენი, ნაციონალური ონკოცენტრი, 2010 წელი _ გერმანია, მიუნხენის საუნივერსიტეტო კლინიკა, ლაპარასკოპიული ქირურგია, 2015 წელი _ ბელარუსი, მინსკის ტრანსპლანტაციის ცენტრი, სასწავლო კურსი ჰეპატო პანკრეო ბილიარულ ქირურგიასა და ტრანსპლანტაციაში. ქირურგმა მერაბ ჯანელიძემ ძეგლი თავის თავს სიცოცხლეშივე დაუდგა. მისმა დიდმა თანამოგვარემ, სამტრედიელმა იუსტინე ჯანელიძემ, წლების წინ სასწაული მოახდინა ქირურგიაში _ პირველმა გაკერა აორტაგაგლეჯილი გული, მერაბ ჯანელიძე თანამედროვე მედიცინის სასწაულებს ახდენს! ამ ჭეშმარიტებას მადლიერ პაციენტთა მრავალრიცხოვანი არმიაც მოწმობს და უმაღლესი ქირურგიული ჯილდო, ოქროს ლანცეტიც. მერაბ ჯანელიძე ამ უმაღლესი სამედიცინო ჯილდოს მესამე მფლობელია საქართველოში! საქართველოში ქირურგიაში პროფესიული მოღვაწეობისათვის, ახალგაზრდობისათვის ტრადიციების გადაცემისათვის და მამულიშვილური ცხოვრებისათვის ის ქირურგიულმა საზოგადოებამ ამ ჯილდოთი გასულ წელს დააჯილდოვა.

მარჯვენაკურთხეული დასტაქარი, წლებია, საკუთარ მუნიციპალიტეტს დაშორდა, მაგრამ დედაქალაქში აკითხავდა სამტრედიელ პაციენტთა დიდი ამალა. იციან პაციენტებმა, რომ მერაბ ჯანელიძე არასოდეს დაიზარებს მათ მიღებას, არ დაიღლება, თუ საჭიროა, პაციენტს თავის სისხლსაც გადაუსხამს, მაგრამ ამას არ "დააპიარებს". მისთვის განურჩეველია ავტორიტეტული, ინტელიგენტი თუ არაინტელიგენტი პაციენტი! ამიტომაც უყვარს ის ყველას, საზოგადოების ყველა ფენის ადამიანს, ის არავის ყოფს და არავის ახარისხებს! ძნელია, ამ გაგანია ვერცხლისმოყვარეობის, შურის და გაუტანლობის ეპოქაში გულმოწყალე და უბრალო, უშუალო, უამბიციო პროფესიონალი იპოვნო. მას ყოფნის ძალა, ენერგია და ნებისყოფა, იცხოვროს უამრავი ადამიანის ტკივილით, გაჭირვებით, იფიქროს ასეული ადამიანის ბედზე... ერთი წელია, რაც სამტრედიელებმა შვებით ამოისუნთქეს, რადგან მათი მანუგეშებელი ექიმი, აქვე, ქალაქ ქუთაისშიც შეუძლიათ მოიკითხონ და ინახულონ. მერაბ ჯანელიძე თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრის ჰეპატო-პანკრეო-ბილიარული ქირურგიისა და ინტერვენციული ონკოლოგიისა და ტრანსპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია. მინსკის ტრანსპლანტაციის ცენტრთან თანამშრომლობამ ამ ცენტრის ექიმებს მისცა საშუალება, კლინიკაში დაენერგათ ყველა მაღალტექნოლოგიური პროცედურა თუ ჩარევა ღვიძლის, პანკრიასის, ფილტვის ონკოქირურგიასა თუ ტრანსპლანტაციაში. ძლიერი სამედიცინო გუნდი და მერაბ ჯანელიძე არაერთი უმძიმესი სენით დაავადებული ადამიანის ნუგეში და დიდი იმედია. ასეთი კლინიკის არსებობა ხელს უწყობს უძველესი კულტურის ქალაქის, ქუთაისის სამედიცინო ჰაბად ჩამოყალიბებას რეგიონში.

"დილით ვარჯიში! შუადღით მხოლოდ ერთი ოპერაცია, საღამოს კონტაქტი ნაოპერაციებ და საოპერაციო პაციენტებთან, რომლებიც გველოდებიან! ფიქრი ახალ იდეებსა და პროექტებზე! ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პროფესორ მერაბ ჯანელიძესთან ერთად დავიწყეთ მაღალტექნოლოგიური ქირურგიის წარმოება დასავლეთის რეგიონალურ ცენტრში! ერთი წლის განმავლობაში შესრულდა ის საქმე, რასაც ბევრი ანდომებს 5-6-7 წელიწადს ან უბრალოდ, არ გამოსდის! ჩვენს მიერ შესრულებული საქმე არ არის მხოლოდ კლინიკის რეკლამა, არამედ კლინიკაში შეიქმნა დასაყრდენი და საიმედო პროფესიული ბაზა იმ პაციენტთათვის, რომელთაც ადრე ონკოლოგიური პრობლემების გამო უხდებოდათ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრება, ან უბრალოდ, მაღალტექნოლოგიური ბაზის მოძებნა ქვეყნის მასშტაბით! ამას ცხადყოფს ამ მოკლე პერიოდში შესრულებული ექსკლუზიური ოპერაციები: 1. პირველად საქართველოში ურთულესი ღვიძლის პათოლოგიის გამო ქირურგიული ჩარევა ღვიძლზე 14 წლის გოგონაზე! ოპერაციის ხანგრძლივობა 8 საათი. 2. პირველად რეგიონში ურთულესი ჩარევა ღვიძლზე გაფართოებული ჰემიჰეპატექტომიის სახით არარეზექტაბელური სიმსივნის გამო, აღნიშნული პაციენტი მულტიპროფილურად მზადდებოდა 2 თვე. ოპერაციის ხანგრძლივობა ათი საათი. 3. პირველად რეგიონში ურთულესი ჩარევა პანკრეასზე პორტული სისტემის პლასტიკით. ოპერაციის ხანგრძლივობა 10 საათი. 4. პირველად რეგიონში ორეტაპიანი ოპერაციის ერთ მომენტად შესრულება; მსხვილი ნაწლავის რეკონსტრუქცია პლუს ღვიძლის ინტრაოპერაციული აბლაცია. 5. გულმკერდის ონკოქირურგია და ფილტვზე შესრულებული რამდენიმე რთული ოპერაცია... ბევრი ექსკლუზივი და დაგეგმილი ოპერაცია უახლოეს მომავალში. მადლობა ჩემს ხელმძღვანელ, პროფესორ მერაბ ჯანელიძეს, რომ დათანხმდა ამ პროექტს! კლინიკაში მომუშავე ყველა ადამიანს!"_ წერს საკუთარ ფეისბუქგვერდზე საერთაშორისო სამედიცინო ცენტრის ტრანსპლანტაციის მიმართულების ხელმძღვანელი, ჰეპატოქირურგი, ალექსანდრე ცირეკიძე.

მერაბ ჯანელიძის მიერ განხორციელებული სამედიცინო სასწაულების რიცხვი დღითიდღე მატულობს, ერთადერთი, რაც მერაბ ექიმს არ უყვარს, ინტერვიუ და საკუთარ მიღწევებზე პრესასთან საუბარია. მახსენდება, წლების წინ, როცა ზეპაპულარულ მერაბ ექიმს ინტერვიუ ვთხოვე გაზეთ "დილის გაზეთისათვის", მიპასუხა, ყველაზე საუკეთესო თხოვნა ჩემი, როგორც ექიმის დახმარების თხოვნაა. ასეც არის, იგი ჩვენი იმედი და დიდი ნუგეშია! სიამაყით ვადევნებთ თვალს სამტრედიელები მერაბ ჯანელიძის წარმატებებს. მისი საქმიო სასწაულებიდან არ შეიძლება არ გავიხსენოთ, თსუ-ს სტუდენტი გოგონას ისტორია, შეყვარებულმა უნივერსიტეტის მეორე სართულიდან ძირს რომ დაანარცხა. მერაბ ჯანელიძე იყო პირველი, ვინც ძალა მოიკრიბა და დამსხვრეულ-დამტვრეული გოგონა სიკვდილს ხელიდან გამოაცალა. ექიმმა თავის თავზე უდიდესი მისია აიღო, წამებში და წუთებში შეიძლებოდა გოგონა გარდაცვლილიყო, კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე გაყვანის დრო არ რჩებოდა. _ ვიწყებ! წარმოთქვა გამბედავმა ქირურგმა და ურთულესი ოპერაცია ჩაატარა, მერე ტელეეთერით ქართველი ხალხის წინაშე მადლიერმა გოგონამ განაცხადა, რომ მას სიცოცხლე თავიდან აჩუქა მერაბ ჯანელიძემ! ასეთი ბევრი შემთხვევის გახსენება შეიძლება. დღეს, სოციალური ქსელების ეპოქაში, მადლიერი პაციენტების პოსტებს თვალი რომ გადაავლოთ, საცნაური გახდება მერაბ ჯანელიძის როგორც პროფესიული, ისე პიროვნული ღირსებები!

“თოვდა და თბილისს ებურა თალხი”

ნათია ნაცვლიშვილი

_ კოლაუ ნადირაძემ ეს ლექსი, 99 წლის წინ, საქართველოს დედაქალაქში 25 თებერვალს დატრიალებულ სისხლიან კალოს და ქართულ ოკუპაციას მიუძღვნა. ლექსმა დიდხანს ვერ იხილა სამზეო, თუმცა დღეს ყველა თავმოყვარე ქართველმა ეს სიტყვები ზეპირად იცის, ეს ლექსი წამოუტივტივდება ყველას გონებაში დაკარგული დამოუკიდებლობის გახსენებისას.

“საქართველოს ოკუპაცია ასი წლის წინ და დღეს” _ ამ სახელწოდების საჯარო ლექცია ჩაატარა საქართველოს გასაბჭოების დღეს, 25 თებერვალს, ხელოვანთა დარბაზში მოწვეულმა ანტონ ვაჭარაძემ. ანტონ ვაჭარაძეს დარბაზში შეკრებილი საჯარო სკოლების მოსწავლეთა უმრავლესობა კარგად იცნობდა, როგორც “რა? სად? როდის?” ერთ-ერთ ცნობილ სახეს. როგორც მან ჩვენთან განაცხადა, კითხულობს ლექციებს საქართველოს უნივერსიტეტსა და კავკასიის უნივერსიტეტში. ოკუპაციის თემა კი მისი სამეცნიერო ინტერესის და კვლევის სფეროა.

“სიმბოლური დღეებია თებერვალი და მარტი, ზუსტად 99 წლის წინ მოხდა საბჭოთა ოკუპაცია, ამის გამო დავდივართ სხვადასხვა ადგილებში, ეროვნული თავდაცვის აკადემიის სტუდენტებისთვის, მომავალი იუნკრებისთვის გარკვეული საგანმანათლებლო აქტივობები ჩავატარეთ, ვესაუბრეთ. მადლობა ლაშა ლორიას და ამ აქტიურ ქალაქ სამტრედიას, რომელიც სულ ყოველთვის ჩართულია ასეთ ღონისძიებებში, აქ მწერლებმა ჩამოიტანეს წიგნები, რომელთაც იმ ახალგაზრდებს გადავცემთ, რომლებიც შეკითხვებს უპასუხებენ”. _ განუცხადა “სამტრედიის მაცნეს” დარბაზში მოხსენებით გამოსვლის წინ ანტონ ვაჭარაძემ.

გამომსვლელის თქმით, სამაგალითოა სამტრედიის მუნიციპალიტეტი, რადგან მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ დაპირება მისცა მათ, რომ უახლოეს ხანში სამტრედიაში გაკეთდება პირველი რესპუბლიკის სახელობის სკვერი, სადაც განთავსდება მემორიალური დაფა და ქართულ და ინგლისურ ენებზე იმ ადამიანების ბიოგრაფიები, ვინც იმ პერიოდში გამორჩეული ისტორიული ფიგურა იყო.

ანტონ ვაჭარაძე: “რატომ უნდა ვიცოდეთ ისტორია? ჩვენს ქვეყანას დღესაც არცთუ დალხენილი აქვს საშინაო და საგარეო ვითარება, მტრის ყველა უსამართლო ბრალდებას დოკუმენტებზე დაყრდნობით და არა უსაფუძვლოდ უნდა ვუპასუხოთ. ჩვენს იდენტობას, ალბათ, ყველაზე უკეთ ილია ჭავჭავაძის ფორმულა _ მამული, ენა, სარწმუნოება_ გამოხატავს. ჩრდილოელი მეზობელი კვლავ თვლის, რომ მას იგივე დღის წესრიგი აქვს, რაც წინათ ჰქონდა და დღესაც მიტაცებული აქვს ჩვენი ქვეყნის დიდი ნაწილი.” გამომსვლელმა გაიხსენა ქართველების ძალისხმევა ენის სტატუსის შესანარჩუნებლად 1978 წლის 14 აპრილს და ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად 1989 წლის 9 აპრილს. მომხსენებლის თქმით, რუსულენოვან ვიკიპედიაში 9 აპრილის მოვლენები შეფასებულია არა როგორც ტრაგედია, არამედ, როგორც თბილისის მოვლენები.

“მავანი პირველი რესპუბლიკის მთავრობის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას აფასებს და ამბობს: მათ ხელში ჩაუვარდათ ეს დამოუკიდებლობაო, მაგრამ ფაქტია, ამ მთავრობამ შექმნა ქართული რესპუბლიკა, ამ ხალხმა ჩაატარა მრავალპარტიული არჩევნები, ხმების 78 პროცენტი მოიპოვა მენშევიკურმა პარტიამ. სხვათა შორის, გამარჯვებულმა ძალამ სხვა პარტიის წარმომადგენელი დანიშნა მაღალ თანამდებობაზე, რაც იშვიათია თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრებისათვის _ სოციალ-ფედერალისტი გიორგი ლასხიშვილი განათლების მინისტრად დაინიშნა.

1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმია შემოვიდა და საქართველოს ოკუპაცია განახორციელა. მთავრობას იმედი ჰქონდა, სხვა ადგილებიდან დაიცავდა თავს, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ, საქართველო ერთი თვის განმავლობაში უძალიანდებოდა მტერს, სომხეთისგან განსხვავებით, რომელიც 3-4 დღეში დაიპყრეს, 3500 ადამიანი დაიღუპა. საკმაოდ დიდი იყო მტრის დანაკარგიც, არსებული სტატისტიკით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 100 მილიონი ვაზნა სჭირდებოდა, ქვეყანას მხოლოდ 30 მილიონი ჰქონია და პრემიას აძლევდნენ იმ სამხედროს, ვინც სანგრიდან ამოვიდოდა და გასროლილ ვაზნებს მოაგროვებდა. მთავრობა ემიგრაციაში წავიდა, მისი მუშაობის შედეგი იყო ის, რომ 1934 წლამდე საბჭოთა რუსეთი არ უღიარებია ერთა ლიგას, იმდროინდელ გაეროს. 1923 წლიდან საქართველოში იწყება რეპრესიები, დახვრეტები, ვაკის პარკის ტერიტორიაზე დახვრიტეს ილია ჭავჭავაძის დისშვილი, გენერალი კოტე აფხაზი, შემდეგ იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის აჯანყება 1924 წელს და განსაკუთრებული სისასტიკით შორაპნის სადგურზე გაუსწორდნენ 100-მდე ადამიანს, ასევე დაუნდობელი იყო ბრძოლა იდენტობის განმსაზღვრელ წმინდანებთან _ ამბროსი ხელაიასა და ნაზარი ლეჟავასთან. მერე ამ უბედურებას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციით, ახალი ეკონომიკური პოლიტიკით ამართლებდნენ. 30 000-მდე ადამიანის რეპრესია მოხდა 1937-1938 წლებში.” _ განაცხადა ანტონ ვაჭარაძემ.

მწერალმა გურამ მეგრელიშვილმა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მიმდინარე მოვლენებზე ისაუბრა და საქართველოსა და რუსეთის დამოკიდებულების ჭრილში განიხილა რეპრესირებული ქართველი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის, გენიალური ნაწარმოები “ჯაყოს ხიზნები”.

“ჯავახიშვილი დახვრიტეს იმიტომ, რომ მან შეაფასა რეალურად ქართველი ერის მდგომარეობა, დაბრუნებულები თურმე ტრაბასვა დიაგნოზი, რაც მერე ჩვენ დაგვემართებოდა: საქართველო ახლა გადის იმ გზას, რაც გაიარა თემურაზ ხევისთავმა, ეს შემგუებლობის გზაა, ახალგაზრდებს “აზროვნების აკადემიაში” ლიტერატურას ვასწავლი, მათ შემხედვარეს შემიძლია ვთქვა, რომ ხევისთავის გზა არის დროებითი მოცემულობა, რომელიც უნდა შეიცვალოს, ვფიქრობ, თქვენ ამას მოახერხებთ”. გურამ მეგრელიშვილის წიგნი 2008 წლის აგვისტოს ომის თემას ეხება. დარბაზში ასევე იყო წარმოდგენილი მისი წიგნები და საჩუქრად გადაეცათ იმათ, ვინც შეკითხვებს უპასუხა. ირაკლი მახარაძემ კი, რომლის წიგნებიც ასევე იყო წარმოდგენილი, გურიის რესპუბლიკაზე ისაუბრა, გამომსვლელმა წარმოადგინა ამერიკაში 1910 წელს გურულების მოგზაურობის ისტორიული კადრებიც და იმ მოვლენებზეც ისაუბრა, რაც გურულების ამერიკულ მოგზაურობას მოჰყვა თან.

ირაკლი მახარაძე: “ამ ადამიანებს რუს კაზაკებს ეძახდნენ, ამერიკიდან დაბრუნებულები თურმე ტრაბახობდნენ, ამერიკელებს ჯირითი ვასწავლეთო, მაგრამ ხელისუფლებამ მათ ამერიკის შპიონების იარლიყი მიაკერა, ზოგს შინსახკომში იბარებდნენ, აშინებდნენ, 1937 წელს მათი ნაწილი მკაცრად დასაჯეს. 1905 წელს დაარსდა გურიის რესპუბლიკა, მას პარიზის კომუნას ადარებდნენ, არადა, ამ კომუნამ 10 კვირა იარსება, გურიის რესპუბლიკამ კი ბევრად დიდი ხანი. გურიაში სიკვდილით დასჯა აკრძალული იყო, თუმცა შეიმუშავეს მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებები, რამაც ის შედეგი გამოიღო, რომ აღმოიფხვრა ძარცვა, მრუშობა, კვლა და ა.შ. გურულებს იუმორი იმაშიც ეხმარებოდა, ძირს ნიკოლოზი! დაეძახათ და ამისთვის მთავრობას არ დაეპატიმრებინა (რომელიმე პატარა ნიკოლოზს ხეზე შესვამდნენ და ძირს ნიკოლოზს ეძახდნენ). ასე შექმნეს გურულებმა პატარა წარმონაქმნი, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია ისეთ მონსტრს, როგორიცაა რუსეთი. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ 1910 წელს ალიხანოვის რაზმმა გადაუარა გურიას.”

ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმის პერიოდი გაიხსენა მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ და მკვლევარებს მადლობა გადაუხადა იმ სვა ქართველების ენის ბრძოლისა და ეროვნული ერთიანობისთვის, ეს ადამიანები ეროვნული ერთიანობის ფენომენია, ეს ადამიანები ეროვნული ერთიანობის ფენომენია, ეს ადამიანები ეროვნული ერთიანობის ფენომენია

"ყველაზე წიგნიერის" გამარჯვებული მეორე სკოლის გუნდი გახდა

ნათია ნაცვლიშვილი

შესანიშნავ პროექტს ახორციელებს, წლებია, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა პარლამენტი. "ყველაზე წიგნიერი" _ ასე ჰქვია ინტელექტუალურ-შემეცნებით თამაშს, რომელშიც მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდები მონაწილეობენ. აღნიშნულ კონკურსში საკუთარი შესაძლებლობები გამოსცადეს სკოლა "ცოდნის", მეორე საჯაროს (გუნდი "განტენბაინი") მესამე საჯაროს (გუნდი "ჰელიოსი"), მეექვსე საჯაროს, მეშვიდე საჯაროს (გუნდი "ათინა"), მეათე საჯაროს და მელაურის საჯარო სკოლის გუნდებმა. წამყვანმა, მოსწავლეთა პარლამენტის ლიდერმა, ლუკა ტუღუშმა თამაშის წინ გუნდები გაამხნევა და წილისყრის პრინციპით გამოვლინდა, თუ ვინ ვის შეეჯიბრებოდა. თამაშის მონაწილეებს ევალებოდათ როგორც ეროვნული მწერლობის და ნაწარმოებების, ისე საზღვარგარეთის თანამედროვე ლიტერატურის ცოდნა. წაკითხული ციტატების თუ მწერალთა ბიოგრაფიული მონაცემების მოსმენის შემდეგ კონკურსანტებს უნდა გამოეცნოთ წიგნები თუ ავტორები. მეშვიდე შეკითხვა ჩვენი ეროვნული საგანძურიდან, "ვეფხისტყაოსნიდან" იყო დასმული.

თამაში ემოციურად და საინტერესოდ წარიმართა, ყველა სკოლის მოსწავლემ ზოგადი განათლების მაღალი დონე გამოავლინა, წარმოჩნდა, რომ კარგად იცნობენ როგორც ქართველ, ისე უცხოელ კლასიკოსებს.

პირველ ტურში ერთმანეთს სკოლები "ცოდნა" და "მეორე სკოლა" შეეჯიბრნენ, მელაურის სკოლას მეექვსე სკოლასთან მოუწია შერკინება. მესამეს_ მეშვიდესთან. მეათე სკოლა თამაშში მოგვიანებით ჩაერთო. ნახევარფინალში მეექვსე სკოლა მესამეს, მეორე _ მეათეს შეხვდა. ფინალური შეხვედრა მეორე და მეექვსე სკოლებს შორის მეორე სკოლის გამარჯვებით დამთავრდა. გამარჯვებულმა გუნდმა მეტოქე ერთქულიანი სხვაობით დასჯაბნა.

ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი სპეციალისტი, ალექსანდრე თევზაძე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საინფორმაციო მენეჯერი ლია ზაქარიაძე, "სამტრედიის მაცნეს" პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა და ჟურნალისტი ნათია ნაცვლიშვილი. ყველა მონაწილე გუნდი საგანგებო სიგელით დაჯილდოვა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელმა ტატა გოგუაძემ და წარმატებები უსურვა მათ, გამარჯვებული მეორე სკოლის გუნდი "განტენბაინი" კი დიპლომით და წიგნებით დაჯილდოვდა." მადლობა ამ საინტერესო შეხვედრის ყველა ორგანიზატორს, მონაწილეს, ძალიან კარგი თამაში იყო და მიხარია, რომ დღევანდელი დღის ლიდერები ვართ."_ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" გუნდის კაპიტანმა თემურ გერაძემ. გამარჯვებულებს გამარჯვება მეგობრულად მიულოცეს თამაშის მონაწილეებმა.

ალექსანდრე თევზაძე: "რა თქმა უნდა, მივესალმები მსგავს ინტელექტუალურ თამაშებს, მადლობა ყველა სკოლას, რომელმაც მიიღო მონაწილეობა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს, ქალბატონებს ტატას და ელიკოს, ძალიან დიდი მადლობა ახალგაზრდულ პარლამენტს ასეთი საინტერესო მუშაობისათვის, ასეთ კონკურსებში მონაწილეობით მოსწავლეები წიგნის კითხვის საუკეთესო პრაქტიკას გამოიმუშავებენ. ჩვენ, უფროსები შეძლებისდაგვარად ვეცდებით, დავესწროთ და წავახალისოთ ისინი."

ლევან გაბეჩავა

სისხლიანი თებერვლის ექო

99 წელი შესრულდა 25 თებერვალს 1921 წლის თებერვლის ტრაგიკული მოვლენებიდან, როცა საბჭოთა რუსეთის მიერ "სამოყვროდ გამოგზავნილმა ლეგენდარულმა მე-11 არმიამ" სისხლში ჩააცრჩო ახალშობილი ქართული დემოკრატია, მოახდინა დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაცია, ანექსია, რასაც მოჰყვა მსხვერპლი. დაიღუპნენ იუნკრები _ სამხედრო სასწავლებლის კურსანტები, 20-25 წლამდე იყო მათი საშუალო ასაკი. ამ მოვლენებს ემსხვერპლა პოეტ კოტე მაყაშვილის 20 წლის ქალიშვილი, მარიამ (მარო) მაყაშვილი, რომელიც მუდდად მსახურობდა ტაბახმელასა და კოჯრის ტერიტორიაზე წარმოებულ ბრძოლებში. იგი ყუმბარის ნამსხვრევით კუჭში სასიკვდილოდ დაიჭრა.

ამ დღეებში საზოგადოებამ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, კიდევ ერთხელ გაიხსენეს ის ადამიანები, ვინც მუდგრად იბრძოდა აგრესორის წინააღმდეგ და პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

თარიღთან დაკავშირებით მიზანშეწონილია გავიხსენოთ ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, ფილიპე გლახუნის ძე ლორია, რომელიც აქტიურად იყო ჩართული 1918-1921 წლების მოვლენებში.

აქვე ავღნიშნავთ, რომ მის შესახებ მასალები მოიძია და ვაზეთს მოაწოდა ბატონმა ირაკლი მაჭავარიანმა, რომელიც ამ თემატიკითაა დაინტერესებული.

ლორია ფილიპე გლახუნის ძე

(დავიბადე 19 მარიამობისთვე _ (აგვისტო), 1878, (გარდაიცვალა პრაღაში, ჩეხეთში 84 წლის ასაკში 17 ნოემბერს 1962 წელს) სოფელი "ნოღაში" (საჯავახოს (შენიშვნა: საჯავახო სამტრედიის მუნიციპალიტეტი) მხარე აღმოსავლეთ გურიის საზღვრებთან). ქუთაისის მაზრა, ქუთაისის გუბერ.). ქართველი. თფილისის ტრამვაის მოსამსახურე საგზურის უფროსის თანაშემწე. საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრი. თფილისის მისამართი (ადრესი) მეთორმეტე სამილიციო ნაწილი, შერემეტიევის ქუჩა (შენიშვნა: დღევანდელი ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩა). სახლი 40 ნომერი (დიდუბეში) ფ. გ. ლორია.

პარტიული რწმენა _ რწმენით სოციალ-დემოკრატი (მეუმცირესე) ვითვლები პარტიაში 1903 წლიდგან.

განათლება მივიღე ჩემ სოფელ ნოღაში სამრევლო სკოლაში (შენიშვნა: სამრევლო სკოლის დამაარსებელი, მღვდელი ბესარიონ ეგნატეს ძე ჯაში). ამით დავამთავრე ჩემი განათლების გზაზე მსვლელობა.

1903 წლიდან ბევრი უმიზნოთ აქეთ იქით მოგზაურობისა დავდექი სამსახურში. თფილისის ქალაქის თვითმმართველობაში, სადაც დავყავი ორნახევარი წელიწადი და სადაც მეტი საშუალება მომეცა გავცნობოდი ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა მაშინდელ მოწინავე ამხანაგებს და იმათი საშვალებით გავიგე და დაუახლოვდი მუშათა მოძრაობის მაშინდელ ხელმძღვანელს ჩვენში და დღემდის შეძლების დაგვარად განვაგრძობ ამ გზაზე შრომას. ქალაქის თვითმმართველობიდგან ორ წლინახევრის შემდეგ 1905 წელს დამითხოვეს სამსახურიდან რადგანაც ის საქმე, რასაც მე თვალყურს ვადევნებდი იჯარით გასცა ქალაქის გამგეობამ და მეც უადგილოთ დავრჩი.

რამდენიმე ხნით სოფელში წავედი. ეს ის ხანა იყო როცა ჩვენი ქალაქები და სოფლები პირველი რევოლუციის ტალღებისგან აღფრთოვანებულები იმედით შეჰყურებდნენ მომავალს. მეც სოფლის ამხანაგებთან ერთად ვეწეოდი არაერთ მუშაობას, მაგრამ როცა თავისუფლება და რევოლუცია ხანმოკლე გამოდგა და დეკემბრის (1905 წელს) რეაქციამ წამოყო თავი. სხვა და სხვა დამსჯელმა რაზმებმი მოედი სოფლად სათარეშოთ განსაკუთრებით მთელს გურიას და მის მეზობლათ მდებარე რაიონებს, ალიხანოვ ავარსკების და სხვათა მეთაურობით, დაუწყეს სოფლებს განადგურება. ამ დროს ზოგიერთმა ამხანაგებმა ისევ ქალაქებს მივაშურეთ და აქ ჩავებით არაერთ მუშაობაში. 1906 წელს მარტის უკანასკნელ რიცხვებში დავდექი თფილისის ტრამვაიში სადაც დღემდის განვაგრძობ მუშაობას და სადაც ამ ხნის განმავლობაში ბევრი დევნა და შევიწროება გამოვიარე სხვა ამხანაგებთან ერთად, როგორც მთავრობისგან ისე მაშინდელ ტრამვაის ადმინისტრაციისაგან. 1913 წელს მარიამობისთვის ბოლო რიცხვებში ტრამვაიში ეკონომიკური გაფიცვის მოწყობისათვის სხვა ამხანაგებთან ერთად დამატუსაღეს და მეტეხის ციხეში მომათავსეს, სადაც დავყავი დაახლოვებით ერთ თვეზე მეტი და საიდგანაც გაფიცვის მუშა მოსამსახურეთა გამარჯვებით გათავების შემდეგ, ტრამვაის დირექციამ თავდებობით გაგვანთავისუფლა. მთავრობამ კი პასუხისგებაში მიგვცა როგორც დამნაშავეები, მაგრამ თფილისის საოლქო სასამართლომ ყველანი გაგვამართლა.

მეორეთ დამატუსაღეს 1914 წელს ივლისის 9 ს. გათენებისას და ისევ მეტეხის ციხეში ჩამსვეს კიდევ ტრამვაის გაფიცვის მოწყობისთვის სადაც დავყავი ივლისიდგან ოქტომბრის ბოლო რიცხვებამდე. მემრე კი გადამასახლეს რუსეთში სარატოვის გუბერნიაში ქალაქ ცარიცინში, ჩვენში სამხედრო წესების მოხსნამდის. (ომი ახალი დაწყებული იყო და მთელ ამიერკავკასიაში სამხედრო წესები იყო გამოცხადებული).

რუსეთში დავრჩი 1915 წლის მაისის შვა რიცხვებამდე საიდგანაც გამანთავისუფლეს მაშინდელი სახელმწიფო სათათბიროს წევრის და ახლა კი ჩვენი საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის დიდათ პატივცემულის ნიკოლოზ სამსონის ძე ჩხეიძის შვამდგომლობით მაშინდელი კავკასიის უმაღლესი მთავრობის წინაშე. ყველა ზემოთ გებმა ისევ ქალაქებს მივაშურეთ და აქ ჩავებით არაერთ მუშაობაში. 1906 წელს მარტის უკანასკნელ რიცხვებში დავდექი თფილისის ტრამვაიში სადაც დღემდის განვაგრძობ მუშაობას და სადაც ამ ხნის განმავლობაში ბევრი დევნა და შევიწროება გამოვიარე სხვა ამხანაგებთან ერთად, როგორც მთავრობისგან ისე მაშინდელ ტრამვაის ადმინისტრაციისაგან. 1913 წელს მარიამობისთვის ბოლო რიცხვებში ტრამვაიში ეკონომიკური გაფიცვის მოწყობისათვის სხვა ამხანაგებთან ერთად დამატუსაღეს და მეტეხის ციხეში მომათავსეს, სადაც დავყავი დაახლოვებით ერთ თვეზე მეტი და საიდგანაც გაფიცვის მუშა მოსამსახურეთა გამარჯვებით გათავების შემდეგ, ტრამვაის დირექციამ თავდებობით გაგვანთავისუფლა. მთავრობამ კი პასუხისგებაში მიგვცა როგორც დამნაშავეები, მაგრამ თფილისის საოლქო სასამართლომ ყველანი გაგვამართლა.

მეორეთ დამატუსაღეს 1914 წელს ივლისის 9 ს. გათენებისას და ისევ მეტეხის ციხეში ჩამსვეს კიდევ ტრამვაის გაფიცვის მოწყობისთვის სადაც დავყავი ივლისიდგან ოქტომბრის ბოლო რიცხვებამდე. მემრე კი გადამასახლეს რუსეთში სარატოვის გუბერნიაში ქალაქ ცარიცინში, ჩვენში სამხედრო წესების მოხსნამდის. (ომი ახალი დაწყებული იყო და მთელ ამიერკავკასიაში სამხედრო წესები იყო გამოცხადებული).



ჩამოთვლილ მოგზაურობის შემდეგ ისევ დაუბრუნდი ტრამვაის სამსახურს, სადაც დრემდის განვაგრძობ მუშაობას. რევოლუციის პირველი დღიდგანვე არჩეული ვარ სხვა და სხვა რევოლუციონურ ორგანიზაციებში, მაგალითათ მუშათა და სალდათთა აღმასრულებელ კომიტეტის წევრათ.

ტრამვაის საავთმყოფო გამგეობის წევრათ დღიდგან დაარსებისა. 1913 წლიდან პროფესიონალურ კავშირის გამგეობის წევრათ და ბოლოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრათ.

ეროვნულ საბჭოს წევრი ფილიპე გლახუნის ძე ლორია
1918 წელი. 9 სექტემბერი
ქ. თფილისი

ლორია ფილიპე გლახუნის ძე. საქართველოს ეროვნული საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი გახლდათ.

ინფორმაცია ჟურნალ ირაკლი მაჭავარიანმა

ამჯერად ვეტერანებში



იმ დროიდან გვახსოვს, თავის მწვრთნელს ჯერ კიდევ ბავშვობისას რომ მოჰყავდა და მის წარმატებებზე "სამტრედიის მაცნეც" სიამოვნებით წერდა.

ამჯერად კი, უკვე ვეტერანი სპორტსმენის, **ბესარიონ შვანგირაძის,** წარმატებებზე მოგითხრობთ.

ამ დღეებში საქართველოს პირველობა გაიმართა ვეტერანთა შორის ჭიდაობა-ძიუდოში, სადაც 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზა ბესარიონმა და პირველი ხარისხის დიპლომიც დაისაკუთრა, რომლითაც იგი, საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაჯილდოვდა.

_ ჩემპიონატი მიზნად ისახავდა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამგზავრების უფლების მოპოვებას, რასაც ბესარიონმა ბრწყინვალედ გაართვა თავი. _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" ბესარიონ შვანგირაძის მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ავთანდილ თარგამაძემ. ვულოცავთ ბატონ ბესარიონს და კვლავ წარმატებებს ვუსურვებთ მომავალ ასპარეზობებში!

ლევან გაბეჩავა

სამტრედიელ ხელბურთელთა მორიგი წარმატება

24 იანვრიდან პირველ თებერვლამდე უკრაინის ქალაქ მელიტოპოლში გაიმართა მეორე მსოფლიო ომის გმირის, ლეონიდ ბობროვის, ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი 2004-2005 წლებში დაბადებულ ვაჟ ხელბურთელებს შორის. აღსანიშნავია, რომ სამტრედიის ხელბურთელთა გუნდს და მის მესვეურებს ამ ქალაქის ხელბურთელთა გუნდთან, წლებია, მეგობრობა აკავშირებს. 5 წელია, ქალაქის წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობენ ვახტანგ ხელისუფალისა და მილერი ქიშმარიას სახელობის ტურნირში, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში იმართება.

უკრაინაში გამართულ პრესტიჟულ ტურნირში სულ 32 გუნდი მონაწილეობდა, ჩვენი ხელბურთელები მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ. აღნიშნულ წარმატებასთან დაკავშირებით "სამტრედიის მაცნეს" ესაუბრა ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბ "სამტრედიას" დირექტორი და ხელბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი, გიორგი ხელისუფალი:

"ძალიან მაღალ დონეზე ორგანიზებული ტურნირი იყო, მასში 32 გუნდი ღებულობდა მონაწილეობას, წარმოდგენილი იყო უკრაინის თითქმის ყველა გუნდი, ასევე იყვნენ ბელორუსიის, რუსეთის, მოლდავეთის, სასომხეთის, ინდოეთის წარმომადგენლები. პირველი ორი ქვეჯგუფი წარმატებით გავიარეთ, პირველ ადგილზე გავედით, შემდგომ ეტაპზე ნახევარფინალურ მატჩში კიევის გუნდთან დავმარცხდით, მესამე ადგილისათვის ბრძოლაში კი მოლადავეთის გუნდი დავამარცხეთ და საკმაოდ პრესტიჟული გამარჯვება მოვიპოვეთ. ამ ტურნირში მონაწილეობა ჩვენი გუნდისთვის ძალიან სასარგებლო იყო, პირველ რიგში, ახალგაზრდებმა მიიღეს უდიდესი გამოცდილება, უკრაინა ჩვენგან განსხვავებით სხვა კულტურისა და დონის ხელბურთს თამაშობს, მეგობრობას, რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ, ყველა გუნდიდან სამომავლოდ გვაქვს მიწვევა, ჩვენ უკვე მოვიწვიეთ ისინი ვახტანგ ხელისუფალისა და მილერი ქიშმარიას სახელობის ტურნირზე, რომელიც ამა წლის ოქტომბერში გაიმართება.

წარმატებებს ვუსურვებთ სამტრედიის ხელბურთელთა ნაკრებს!

ნათია ნაცვლიშვილი

ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო

29 თებერვალს სტარტი აიღო საქართველოს 32-ე ეროვნულმა ჩემპიონატმა ფეხბურთში "კრისტალბეთ ეროვნული ლიგის" გუნდებს შორის.

ამ დღეს საქართველოს ჩემპიონატის 17-გზის გამარჯვებული, საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი და ქართული ფეხბურთის ფლაგმანი თბილისის "დინამო" ახალი მთავარი მწვრთნელის, კახა ჩხეტიანის, ხელმძღვანელობით ახალი საფეხბურთო სეზონის გახსნის პირველ შეხვედრას თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის "დინამო არენაზე" გამართავს. იგი დიდი ხნის შესვენების შემდეგ უძლიერესთა რიგებში დაბრუნებულ დებიუტანტს, თელავის "კახეთს" შეხვდება.

1-ლ მარტს სამტრედიის "სამტრედია" (მთავარი მწვრთნელი კახა კაჭარავა) სეზონის პირველ შეხვედრას სტუმრად ჩაატარებს თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის "ლოკომოტივის" სტადიონზე ადგილობრივი გუნდის, "ლოკომოტივის" წინააღმდეგ.

ირაკლი ნაცვლიშვილი

ერმილე თოფურია - ახალი ლექსები

***

იავ, ანგელოზთა ცალო,
თქვენი მოსვლა ვით დავთვალო,
ჩემ საყვარელ დედის თვალო,
ჩემ ძვირფასი მამის თვალო...
იავ, ანგელოზთა ცალო,
იავ, ანგელოზთა ცალო...

***

დედა რომ წავიდა, მეტკინა,
მაგრამ ასო-ასო ნელით
უცებ შემობრუნდა ლექსით _
კოცნა დამავიწყდაო შენი.
ვიგრძენ ლექსის თბილი ბაგე,
მე ეს ასე კოცნა მახსოვს...
მიდის. მითხრა, ყველა ლექსით
მოვალ, არ დამრჩეო მარტო.

***

ასე იწყება ჩემი გაზაფხული,
თითქოს ხეს უკეთია კვირტები ყურში,
და სანამ გაზაფხულს დაუნიშნავდნენ მკურნალობას,
ყვავილი ცის სუნთქვას მიაპყრო,
და მზეს უსინჯავს გულის მუშაობას...
ასე იწყება ჩემი გაზაფხული.

***

შეხე, პაწია თეთრი ენძელა
დედის ნანინას ხმით რომ ამოდის,
ისე მიცოცავს მთვარე, რომ სოფელს
შუქი ეცემა ოქროს გალღობის.
ამ გათენებას როგორ აცვია
ციცქნა ხალათი შენი ბალღობის
შეხე, პაწია თეთრი ენძელა
დედის ნანინას ხმით რომ ამოდის.

***

ენძელა შემხვდა თვალჭრელა,
სახეს მიპკურა ალიო,
მე მამამ გამომაგზავნა,
ჩემ შვილს ადევნე თვალიო...

***

ჩემი ოდა. მე შენს უმისოდ რაღა ვარ, ოდავ,
დღემდეა შენში რაც მინახია ბალღის თვალებით.
იატაკქვემოთ თქვენს გაცვეთილ ბოკონებს შორის
ჩემს აცელქებულ პატარობას ვეთამაშები...

იის ფერი

რა არის იის ლურჯთვალა ფერი?
იქნება იცი, იქნება არა.
იქნებ ისაა ლურჯთვალა ქალმა
თვალებით რომ საიდუმლო გაუზიარა!..

***

ჩემი ქვეყნის მოფეთქავი მარღვში
შატბერდი და ტაოსვარი მოჰქონდათ
ალბათ, მერე გადაჭრილი მკლავიდან
დაუცვივდათ აცრემლებულ ჭოროხთან.
მერე ვიღაც გადამთიელს უნახავს
მობრიალე თვალმახვილის ელვისებრ
სისხლში რომ ვერ შეერია, უბითა
წაუღია უმალ თავის ქვეყნისკენ...

***

წუთით, მეგობარო, ნახე
სოფლის უჩვეულო ზნე,
ღვინის მადუღარა სუნი,
ქვევრში გაჭედილი მზე.
ოდნავ მოჭუტული შუადღე _
დედის ნამტირალი თვალი,
ცაზე მოელვარე თეთრად
ცხენის ავარდნილი ნალი.
წუთით, მეგობარო, ნახე...

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს თამილა ღაღანიძეს ძმის,

ვიტალი ღაღანიძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს გივი ღაღანიძეს ბიძაშვილის,

ვიტალი ღაღანიძის

გარდაცვალების გამო.

დარეჯან, თამაზ და მამუკა ახობაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ თამილა ღაღანიძეს, საყვარელი ძმის,

ვიტალი ღაღანიძის

გარდაცვალების გამო.

მზევინარ ბოხუა და რამიზო ფანცულაია ოჯახით თანაუგრძნობს თამილა ღაღანიძეს და ნოდარ ადამიას ძმისა და ცოლისძმის,

ვიტალი ღაღანიძის

გარდაცვალების გამო.

ტატიანა (ქინცო) ჭანჭალეიშვილი

სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი მწუხარებით იუწყება მრავალი თაობის აღმზრდელის, სანიმუშო ქალბატონის, დამსახურებული პედაგოგის, ქალბატონი **ტატიანა (ქინცო) ჭანჭალეიშვილის** გარდაცვალებას.

ქალბატონი ქინცო იმ პედაგოგთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელსაც ხანგრძლივი სიცოცხლის ბოლომდე არ ავიწყდებოდა მისი აღზრდილები. უმადლოდნენ მის პროფესიონალიზმს. უშურველად და უანგაროდ გაცემულ სითბოსა და სიყვარულს.

97 წლის ასაკში გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი და თან გაიყოლა გულწრფელი ცრემლი და სინანული ახლობლებისა და თანაქალაქელებისგან. ქალბატონი ტატიანას მსგავს მასწავლებლებს ადვილად ვერ ივიწყებენ, მისი განვლილი ცხოვრება სამაგალითო და კეთილმოსაგონარია.

სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა ქალბატონ ქინცოს სპეტაკ სულს!

საზოგადოება "სამტრედიელი" მწუხარებას გამოთქვამს

ანზორ ლიპარიდის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მერაბ არჩვაძე ოჯახით თანაუგრძნობს ზეინაბ ხვედელიძეს მამის,

ავთანდილის

გარდაცვალების გამო.

ნათელა გელეიშვილი და გულნარა კალანდაძე დიდ გულისტკივილს გამოთქვამენ ღირსეული ქალბატონის, 1995-1997 წლებში ქალთა ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარის,

რუსუდან კახიანის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ ჭირისუფალს.

ირა მიქაშავიძის გახსენება

საქართველოს დამსახურებულ ექიმს, მრავალი სამთავრობო ჯილდოს მფლობელს, სამტრედიის საპატიო მოქალაქეს, არაჩვეულებრივად განათლებულ, კეთილშობილსა და დიდსულოვან ქალბატონს, ირა მიქაშავიძეს, 2020 წლის 25 თებერვალს 100 წელი შეუსრულდებოდა. ქალბატონი ირას ღვაწლი ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ერის ერთიანი სულის ისტორიის ფურცლებზე.

თქვენი სახლი ის სახლია,
მე რომ მოსვლა მიხარია,
თქვენი გული მზით გამთბარი,
ანთებული ბუხარია.
ასე რომ შემყვარებია,
თქვენი ღია კარებია,
მაგ თვალებში დიდი მადლის
სულ მზიანი დარებია.
გულყვითელა ლილიები,
მოფენილი ქარვებია,
ბელურების ოროველა,
ხეზე ჩიტის კარვებია.
თავმომწონე ტალავერი,
ეგ ადესა და ჩხავერი,
სიყვარულით ნაშენები
სახლის ფუძე-ბალავერი.
სანთელს ანთებ, სურნელს აკმევთ,
დაფუსფუსებთ ქართულ აკვნებს,
თქვენ ისეთი მადლი გცხიათ,
უკვდავება გაშლის აფრებს.

გაჩვალუ ჩირგაძე

კახა კალაძეს!

ბატონო კახა დაბადების დღეს გილოცავთ. წარმატებებს გისურვებთ პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

"სამტრედიის მაცნე"

დავით ნიკოლეიშვილს!

კარგ სამტრედიელს, უნიჭიერეს ექიმს, პროფესორ დავით ნიკოლეიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს.

ვუსურვებ წინსვლასა და წარმატებებს!

ბეჭან გოგია

ეკა სანიკიძეს!

ჩვენო ეკა! სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, უფალმა მრავალ გაზაფხულს დაგასწროს, გაგაძლიეროს და გაგახაროს! გეამაყოს შენი ვაჟკაცით, გაზაფხულის სურნელი ხლებოდეს შენს სავალ გზებს!

"სამტრედიის მაცნე"

სათუნა აბოგაძესა და ზაზა ალეიშვილს!

შვილიშვილის დაბადებას გილოცავთ. ერის საამაყო გაზრდილიყოს პატარა მაქსიმე. გამრავლდით და გაიხარეთ.

"სამტრედიის მაცნე"

ჯუბა პაპავას!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ჯუბა, ყოველი წლის მატებას წარმატებები და სიხარული მოეტანოს შენთვის.

უფალი გმეგზურობდეს!

"სამტრედიის მაცნე"

ცისანა კოპალეიშვილ-მეგრელიშვილს!

ჩვენო საყვარელო დედა! სულითა და გულით მდიდარო, წმინდა და სპეტაკო, უამრავი ბავშვის აღმზრდელო ადამიანო, გილოცავთ დაბადების დღეს, 8 მარტს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს შენ საყვარელ შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

შვილები: ფიქრია და ბიჭიკო მეგრელიშვილები

დარეჯან აბოგაძეს!

დედის დღეს, 3 მარტს და ქალთა საერთაშორისო დღეს, 8 მარტს გილოცავთ, ჩვენო ძვირფასო ქალბატონო. სიმბოლურია ისიც, რომ მშვენიერი სულისა და სხეულის მქონე ადამიანი სწორედ 8 მარტს მოევლინეთ ქვეყანას. ღირსეული დედისა და ქალის ეტალონო, სიყვარულით გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს, გეფერებით და გისურვებთ, ყოველი მომატებული წელი შენთვის და შენი ძვირფასი ოჯახისთვის ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს.

ნათელა გელეიშვილი, ქეთევან ჭელიძე, დარეჯან ქავთარია, მზევინარ ბოხუა, ქეთევან გაჩიჩილაძე, ნინო ნანიტაშვილი

ბატონ ალექსანდრე ბანქავას!

90 წლის შესრულებას გილოცავთ შრომის ვეტერანს, ბრწყინვალე ოჯახის თავკაცს. იხარეთ და იდღეგრძელეთ კეთილისმსურველთა გასახარად.

მეგობრები

იყიდება!

ქალაქის ტერიტორიაზე სახლი, 600 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთით.

მისამართი: გრ. რობაქიძის ქ, 1 ჩიხი, №3.

ტელეფონი: 599 34 77 82.

**ფარმაცევტულ კომპანიებს
სულ ფეხებზე ჰკიდიათ,
უნამუსოდ იქცევიან
და ვაბანკზე მიდიან,
ათთეთრიან პირბადეს
ლარნახევრად ჰყიდიან.**



**ჩვენს სენსეი ბატონ მიშას,
ზემოთ ნაღდად ვიღაც "კრიშავს"
და თუ ვინმემ აწყენინა.
ფეხის დარტყმით მყისვე თიშავს.**

მადლობა

სამტრედიის საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მენეჯერს, ექიმ ლელა ლაღიძეს და ამ დაწესებულების ყველა ბრიგადას, მინდა, მადლობა ვუთხრა თქვენი გაზეთის მეშვეობით დროული, გულისხმიერი და ყურადღებიანი მუშაობისთვის.

ვუსურვებ თითოეულ მათგანს ჯანმრთელობას და წარმატებებს!

მარინა ხუჭუა-რცხილაძე

**რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11**

მაცნე სამტრედიის

დირექტორი	ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი	ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი	თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი	ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა	მაკა პაპავა